# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 ივლისი, 2013 წელი.

№139 (7266)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს პრეზიდენტმა დახმარებისთვის გამოძიების ფედერალურ ბიუროს მოუხმო

საააკაშვილს ბრალი ანტიამერიკული განწყობილების პროვოცირებაში დასდეს 8



## სად იყავი მაშინ, ჩვენო გიგუჩი? 2



## „პირველი დედის“ „საგანმანათლებლო“ ვნებანი,

ანუ GEORGIAN UNIVERSITY თუ ალასანია-სანაძეების უნივერსიტეტი? 3

## რა გადაარჩენს საქართველოს? 5

## მოხუცი მამა

ექვსი წელიწადია უშედეგოდ ეძებს სამართალს 3

## „მალე დადგება მდინარე პომადიანი ბიჭების“... 6



## სააკაშვილი 26 მაისის თემით სპეკულირებს 7



## იქნებ, სხვათა მაგალითმა ჩვენც გაგვიღვიძოს ეროვნული სულისკვეთება?! 9

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

თანსინადეფსიანები

# სად იყავი მაშინ, ჩვენო გიგუჩი?

## ბამბის ჩქამიც რომ გესმის, კაკლის ჩხრიალი რად არ გეყურებოდა?

**ამ რეპლიკის ადრესატს, ათას „ღობეზე“ გადამხტარ და ამით სამიდღემიშიოდ გადეპუტატებულ გიგი წერეთელს უთუოდ ეხსომება ერთი კარგი სიმღერა, რომლის პერიფრაზირებითაც შეიქმნა ეს სათაური.**

რამ გამახსენა იგი? რამ და, 20 ივლისს ზუგდიდში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გიგი წერეთლის მიერ მოწვეულმა საგანგებო ბრიფინგმა, რომელზეც მან დაჯერებით განაცხადა, რომ ეს ინციდენტი „ქართული ოცნების“ მიერ იყო დაგეგმილ-ორგანიზებული და მასში მონაწილე კონკრეტული პირებიც ჩამოთვალა, რომლებიც თურმე აღნიშნული მოძრაობის აქტივისტები ყოფილან. თანაც, 100-100 ლარით დაჯარიმება რას კმარა, ან **ეს კოტე კუბლაშვილი რამ გადარია** (როგორც ჩანს, ძაღლებშიც ყოფილა გამონაკლისი, რადგან გიგუჩიმ კოტიკოსაც გაჰკრა კბილი!), **ამ თანხით დაჯარიმება კანონიერად რომ გამოაცხადაო!**



გიგუჩის მიერ ჩამოთვლილ პიროვნებებს არ ვიცნობ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმთავივე დაგმო და გაემიჯნა ამ ძალადობრივ აქციას (მაგრამ შენ მოატყუებ გიგუჩის, მარადიულ დეპუტატს?).

უფრო კარგად კი განაცმოძრაობის მიმართ სამეგრელოში არსებული ერთობ უარყოფითი დამოკიდებულება ვიცი და ამის გათვალისწინებით, ვამბობ: **რომ არა პოლიციის ძალისხმევა, „პრაიმერისტებს“ კარგი დღე არ დაადგებოდათ!**

თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა და, ამიტომ, მთავარ სათქმელზე გადავალ.

**2007 წლის შემოდგომაზე სწორედ ზუგდიდში მომხდარი მართლაც ვანდალური აქცია მინდა შევახსენო გიგუჩის.**

მაშინ განაცმოძრაობის მიერ წაქეზებულმხარდაჭერილმა ნაცმოძის აქტივისტებმა დაუნდობლად დაარბიეს ოპოზიციონერთა აქცია და **ლამის სასიკვდილოდ გაიმეტეს „სხვაგვარად მოაზროვნე“ დეპუტატი ბეჟან გუნავა.**

ამ ვანდალიზმში სწორედ განაცმოძრაობის აქტივისტები და ადგილობრივი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ.

ერთ-ერთი მათგანი, შეგახსენებ, გიგუჩი, იყო **ზუგდიდის საკრებულოს მაშინდელი წევრი გოგა ღურწკაია.**

იგი, ამ ვანდალიზმით აღშფოთებული ხალხის თვალის ასახვევად, ვითომ დასაჯეს, რამდენიმე დღით დააპატიმრეს კიდეც, **მერე კი ეს „დამსახურებული“ კაცი ქვემო ქართლში დააწინაურეს** (ისე, რომ ზუგდიდის საკრებულოს წევრობიდან არ გაუწვევიათ!), **იქიდან კი ხობის რაიონის გამგებლად წამოასკუპეს.**

კარგი დასჯაა, არა, გიგუჩი ბატონო!

**სად იყავით მაშინ შენც და სხვა შენნაირი განაცმოძრაობელებიც**?

რაღაც არ მახსოვს, რომ ხმამაღალი პროტესტი გამოგეთქვათ და ხელისუფლება გაგეკრიტიკებინოთ!

ასევე დღისით, მზისით, შუა ქალაქში, ხალხის თვალწინ დეპუტატ ვალერი გელაშვილის ლამის ცემით მისიკვდილებასა და თქვენს „ენაჩავარდნილობაზე“ არაფერს ვამბობ.

**რა ხდება, გიგუჩი, ახლა რომ ზუგდიდსა თუ სხვაგან ლამის ბამბის ჩქამიც გესმის, მაშინ კაკლის ჩხრიალიც რად არ გესმოდა?**

მით უფრო, რომ (საწყენად ნუ მიიღებ ჩემგან ამის შეხსენებას), რამდენადაც ვიცი, თვალების პრობლემა გაწუხებდა და არა ყურისა.

**ამიტომაც ვთვლი, რომ ეს „დაავადება“ განაცმოძრაობელთა „თანსინადეფსიანობის“ ბრალია, რომელიც, ასე იშიფრება — თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანობა!**

**ეჰ, როგორ არ გეკადრება ეს კარგი მამის შვილს!**

**რუსლან რუსია**

ინფორმაცია

## რატომ აკეთებს სააკაშვილი სკანდალურ განცხადებას აშშ-ის მიმართ?

**პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, უნდა გაირკვეს, რატომ აკეთებს პრეზიდენტი სკანდალურ განცხადებას ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის მისამართით.**

**26 მაისის აქციის დაშლასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილის ცნობილ განცხადებას მანანა კობახიძე პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იმითი, რაზეც სააკაშვილმა ისაუბრა, სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ.**

**— ამ ადამიანს სჩვევია დიდი სიცრუის ტირაჟირება, მაგრამ ის, რაც მან 26 მაისთან დაკავშირებით განაცხადა, არის სკანდალური განცხადება. არ მინდა ქვეყანას მიხეილ სააკაშვილის განცხადებების გამო სტრატეგიულ პარტნიორთან და მეგობართან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან რაიმე პრობლემა შეექმნას. ძალიან უპასუხისმგებლო იყო პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ თურმე 26 მაისის აქციის დარბევის ორგანიზება მოხდა ამერიკის ფედერალურმა საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლების თვალწინ, თურმე ისინი ისხდნენ შსს-ში და გეგმავდნენ დარბევას. სააკაშვილი ათას ტყუილს აცხადებს და ცხადია, ესეც ტყუილია, მაგრამ იქნებ პასუხი მოსთხოვოთ თქვენს პრეზიდენტს, რატომ აკეთებს ასეთ სკანდალურ განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით? — მიმართა კობახიძემ უმცირესობას.**

**მისივე თქმით, სამართალდამცავები სააკაშვილის აღნიშნული განცხადებით უნდა დაინტერესდნენ.**

**ინტერპრესი**

თანამშრომლობის იმედად

**საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც სახელმწიფოს მიმართავს, მიიღოს შესაბამისი ზომები იშხნის რესტავრაციაში ქართველი სპეციალისტების ჩასართავად.**

## იშხნის რესტავრაციის შუქ-ჩრდილები

„6-7 ივლისს, ტაო-კლარჯეთში ყოფნისას და ქართული ეკლესია-მონასტრების მოლოცვისას მოვინახულეთ იშხნის ტაძარიც. სამწუხაროდ, აქ კვლავ სწრაფი ტემპით გრძელდება სარესტავრაციო სამუშოები და ეს პროცესი ქართველი სპეციალისტების გარეშე მიმდინარეობს. სამშენებლო სამუშაოების მომიზეზებით ჩვენ არ მოგვცეს ეკლესიაში შესვლის უფლებაც კი და მხოლოდ დათვალიერება მოვახერხეთ“.

ამ ეპარქიის მღვდელთმთავარმა მიმართა სამთავრობო შესაბამის სტუქტურებს, რომ დროულად ჩაერთონ ქართველი სპეცალისტები იშხნის რესტავრაციაში, რათა „ჩვენი წვლილი შევიტანოთ ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობის დაცვაში და ამასთან, შესაძლო უხეში შეცდომებისგან დავიცვათ ეს ძეგლი“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელიც 9 ივლისს ქორეპისკოპისის, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტის თეოდორე ჭუაძის სახელით გავრცელდა.



იშხნის რეაბილიტაცია უხეში დარღვევებით მიმდინარეობს, — დაასკვნის ქართული დელეგაცია, რომელიც ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან არცთუ დიდი ხნის წინათ დაბრუნდა. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სამუშაოებმა შუასაუკუნეების დროინდელ ტაძარს ისტორიული სახე დაუკარგა. ქართველი სპეციალისტები ისევ ითხოვენ, დაჩქარდეს თურქეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმება, რასაც ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს. სამთვიანი სარესატავრაციო სამუშაოების შემდეგ პირველი კადრები იშხანში „მოამბემ“ გადაიღო. ნატა ქაჯაიას ექსკლუზიურ რეპორტაჟში კარგად ჩანს, როგორ აშენებენ თურქები თავიდან შუა საუკუნეების ქართულ ძეგლს... ქართველი ტურისტები და ბათუმიდან იშხანში ჩასული მომლოცველები ქუჩაში ლოცულობენ და სანთლებს კი შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ანთებენ.

ქართველი სპეციალისტების თქმით, თურქების მიერ ამოშენებულ ჩრდილოეთის ფასადზე ნათლად განირჩევა ორი სამშენებლო ფენა, აშკარად ჩანს, რომ ამ ორ სამშენებლო ფენას შორის ნაკერია. დასაწყისი ამ ნაკერს შორის დიდი ქვებით არის შესრულებული, ზემოთ კი გაუგრძელებიათ პატარა ქვებით. თურქული მხარე აცხადებს, რომ ეცდება, ქართველი სპეციალისტების შენიშვნები გაითვალისწინოს, თუმცა ჩრდილოეთის კედლის დანგრევა აღარ მოხერხდებაო. ფრესკების აღდგენა იშხნის სრულად გადახურვის შემდეგ დაიწყება. თურქმა მუშებმა მიწის ფენის გადაფხეკისას უძველესი მონეტები და ბროშები აღმოაჩინეს და რიზეს მუზეუმს გადაუგზავნეს ისე, რომ ქართველ სპეციალისტებს არ უნახავთ.

18-19 ივლისის ვიზიტისას ქართველი სპეციალისტები ადგილზე კიდევ ერთხელ გაეცნენ ძეგლებზე არსებულ ვითარებას. თურქ კოლეგებს გააცნეს მეთოდური და ტექნიკური ტიპის მითითებები და რეკომენდაციები, რომლებიც მოგვიანებით ოფიციალური სახით გადაეგზავნება თურქეთის მხარეს.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ქართველ სპეციალისტთა მესამე ოფიციალური ვიზიტი ისტორიულ ტაო-კლარჯეთში წარმატებით დასრულდა. ვიზიტს წინ უძღოდა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოები; შედგა ორი ქვეყნის კულტურის მინისტრების სატელეფონო საუბარი, კულტურის მინისტრების მოადგილეების შეხვედრა, ასევე სპეციალისტთა სამუშაო შეხვედრები ძეგლებზე რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ექსპერტთა პირველი და მეორე სამუშაო შეხვედრის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები თურქეთის მხარის მიერ დიდწილად უკვე გათვალისწინებულია. მაგალითად, დამუშავებულია ძეგლის საინჟინრო-კონსტრუქციული გაძლიერების პროექტი, რომელიც აქამდე არ არსებობდა. ასევე თურქი სპეციალისტების მიერ გაძლიერდა იატაკის დამცავი ფენა ინერტული მასის დამატებითი ფენებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოები იშხანში აღარ ხორციელდება პროფესიონალი არქეოლოგების ზედამხედველობის გარეშე.

ვიზიტის შედეგად შედგა შეთანხმება, რომ იშხნის დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთის მინაშენზე განხორციელდება ახლადაღდგენილი საპირე წყობის სათანადო დამუშავება, რაც არსებულ მდგომარეობას გამოასწორებს.

ასევე, ქართული მხარის რეკომენდაციის შედეგად, იშხანში მომუშავე სამშენებლო კომპანიამ, თხოვნით მიმართა შესაბამის სამსახურს სტამბოლში, რათა იშხანში მიავლინონ კედლის მხატვრობის კონსერვაციის სპეციალისტი.

ქართული მხარის რეკომენდაციის შედეგად, პროექტის შესრულების ვადა გახანგრძლივდა, რაც იშხნის უკეთესი რესტავრაციის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ოშკის სამონასტრო კომპლექსს, აქ ფიზიკური სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 2013 წლის აგვისტოში, თუმცა პროექტის სრულყოფისა და შეცდომებისგან დაზღვევის მიზნით, თურქეთის მხარემ პროექტის დასრულების ვადა 2013 წლის დეკემბრამდე გაახანგრძლივა.

**ნატა ნიბლაძე**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● დიდი ხანია, გავიარეთ სირცხვილის კორიდორები, კვერცხები, პომიდვრები, ისრები და პროტესტის უამრავი სხვა ფორმა. ვილაცეებისთვის შეიძლება ახალია და მოსწონს, მაგრამ ნაციონალებთან ამ ფორმით ბრძოლას ისინიც მიეჩვივნენ და ჩვენც ვერაფერს ვაღწევთ. ამას თავის დროზე ქონდა ეფექტი.

მიმაჩნია და ბევრი დამეთანხმება, რომ არსებობს პროტესტის გამოხატვის სხვაგვარი ფორმა, რაც ბევრისთვის შეიძლება უცნობია, მაგრამ ნამდვილად არსებობს,

ბევრად ეფექტური და როგორც იტყვიან „მუშა“ .

აქ მთავრი სხვა რამეა და ეს სხვა რამ არის:

კ ო ნ ს ო ლ ი დ ა ც ი ა!!!

● უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო, ეგრეა ჩვენი საქმე, ზონდერ კრიმინალი უფლებადამცველი გახდა და მღვდლები, რელიგიის და ტრადიციების სადარაჯოზე მყოფი ხალხი სამართალიში არიან მიცემული, აფერუუმ ოცნება, აღვადგინეთ სამართალი!

(ამას ველოდი მოვესწარ, ვიცინი აღარ ვტირი მე).




● იცით რატომ არიან ავლანელები ჩვენზე მაგრები? ჩვენგან განსხვავებით მონობაში ცხოვრებას უყოყმანოდ სიკვდილს ამჯობინებენ.

● უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენო, მაგ პონტში — უნიუსო კულტურის ამბებში სიცარიელისგან ნიუსს აკნავლებენ.

რა სათაურს აღარ წაიკითხავ ჩვენთან: „ფეხმძიმობისთვის ემზადება“, „ახალი წლის ღამეს მაია ჯაბუა ჭიპს გამოაჩენს“, „ია ფარულავა გივი სიხარულიძის შვილია?“, „რისი ეშინოდა ია მანიჟაშვილს“, „ვინ განაცხადა, რომ სოფო ნიჟარაძე გარდაიცვალა?“ ...ახლა კიდევ ეს:

„ნუკი კოშკელიშვილი წაიქცა“!!!

როგორ ყვავის ქართული კულტურა, როგორ!

რა გადახარშავს ამდენ სიახლეს!

● რა გონებაშეზღუდული კლანია ახალაიების.... ადვოკატადაც ზონდერი აიყვანეს.

● რეესტრის უფროსი ეკა ქარსელაძე, რომელიც დღემდე ადეიშვილის სახელს იფიცება, რატომ არის ამხელა თანამდებობაზე?

სოფო ხორგუანთნ წავიკითხე ახლა დავა: მიშას ღირსები ვართ თუ — უკეთესს ვიმსახურებთ... მიღებული გაკვეთილებიდან ვერაფერს ვსწავლობთ და კვლავ უსისტემო, შინაგანად მარგინალურ პოლიტიკოსების მოწონებაზე გვაქვს სწორება. მათი წარსული გვავიწყდება და ახალი სიკეთეებით ვაფერადებთ. აი, მე ზუსტად ვიცი, არაფერი გვეშველება კაი ხანი... საკუთარ შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ.

● ყველა ერთნაირი როგორ ხდება, როცა „პოლიტიკოსობას„ იწყებენ?

● საშინელება მოხდა ბათუმში!

მივმართავ შსს-ს: არ გამოვრიცხავ ქვეყანაში მოქმედებდეს იატაკქვეშა, საიდუმლო კრიმინალური დაჯგუფებები პოლიტიკური მიზნებით!!!

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საზოგადოებას სიფრთხილისკენ!!!

ყველა საეჭვო ვითარებაზე აცნობეთ საზოგადოებას!!!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◎ უსამართლო კანონი



# მოხუცი მამა ექვსი წელიწადია უშედეგოდ ეძებს სამართალს

## როდის მოიცლის ახალი პარლამენტი სოციალური პრობლემებისთვის?

**რედაქციაში გვესტუმრა 81 წლის ამირან ნორაკიძე, რომელმაც სურვილი გამოთქვა, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ხმა მიაწვდინოს მთავრობას, პარლამენტს, რომელთა უშუალო მოვალეობაა, დაიცვან ქაღალდზე დეკლარირებული სოციალური თანაბრობისა და თანასწორობის პრინციპი და რეალურ ცხოვრებაში განახორციელონ ის. თუ რისთვის და რატომ იბრძვის ჩვენი რესპონდენტი, ამაზე თავად ვრცლად გვესაუბრება.**

**— ბატონო ამირან რა ხდება თქვენს თავს, რაშია საქმე?**

— ყველაფერი დაიწყო 2006 წლის იანვარში, როცა საქართველოს პარლამენტის 235-იანმა დეპუტაციამ მიიღო კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. ამან ჩემი მდგომარეობა ძალიან გააუარესა. მე ვარ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული შვილის მარტოხელა მამა, რომელსაც სახელმწიფო მაძლევს 52 ლარს. მაგრამ ვინაიდან ეს თანხა სახელმწიფო პენსიად აღიარეს, კანონის თანახმად, უფლება არა მაქვს, მივიღო შრომის პენსია. ან ერთზე უნდა ვთქვა უარი, ან მეორეზე.

**— თქვენ რომელზე თქვით უარი?**

— მე პრინციპულად არ ვამბობ უარს დაღუპული შვილის პენსიაზე. 33 წლის ვაჟი აფხაზეთის ომში დამეღუპა. აბა, როგორ ვთქვა უარი ასეთ ფულზე?!

**— ე. ი. იღებთ 52 ლარს, მაგრამ არ გაძლევენ შრომის, ასაკის პენსიას 125 ლარს. ამას არაფერი ეშველება, სანამ კანონი არ შეიცვლება, არა?**

— დიახ, 2006 წლის თებერვლიდან არ დამიტოვებია არც ერთი უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც არ მივმართე, რადგან, ჩემი აზრით, კანონი არის უსაფუძვლო. მარჩენალდაკარგული შვილის პენსია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პენსიად. ეს ლოგიკით არის კომპენსაცია. როცა პარლამენტთან ვერაფერს გავხდი, სარჩელი შევიტანე საკონსტიტუციო სასამართლოში. საიდანაც მალევე მივიღე პასუხი, რომელსაც ხელს აწერენ ბესიკ ლოლაძე, ოთარ სიჭინავა და ჯონი ხეცურიანი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მე ორივე თანხის აღება მეკუთვნის.

მინდა სიტყვასიტყვით გადმოგცეთ ის, თუ რა წერია მასში: **„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ კანონის ამოქმედების დღიდან „სამხედრო შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დანიშნულ და გაცემულ პენსიებს (პენსიის დანამატებთან ერთად) ეწოდება კომპენსაცია და მათი გაცემა გაგრძელდება სახელმწიფო კომპენსაციის სახით.**

**როგორც ირკვევა, მოსარჩელეს აქვს მარჩენალის დაკარგვის გამო არა პენსიის, არამედ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება. სადავო ნორმა კი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ზღუდავს არა სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო პენსიის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას, არამედ ორი საფუძვლით სახელმწიფო პენსიის მიღებას. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ მას აქვს ან მომავალში ექნება სახელმწიფო პენსიის მიღების ორი ან მეტი საფუძველი“.**

**— მოკლედ, აქ გარკვევით გიწერიათ, რომ უნდა იღებდეთ კომპენსაციასაც და პენსიასაც.**

— დიახ, მაგრამ ამან ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო.

**— სად მიიტანეთ ეს განჩინება?**

— პარლამენტში. მაშინ უფლებამოსილი პირი იყო ნინო ბურჯანაძე, რომელსაც შეეძლო ამის გამოსწორება. 2008 წელს, უკვე გადამდგარი იყო თანამდებობიდან, როცა აღიარა, სრულიად სამარცხვინო კანონი მივიღეთო, მაგრამ რა?!

ვის არ შევხვდი. ვიყავი ოთარ თოიძესთან, რომელსაც პირდაპირ ვუთხარი, სადა გაქვთ მორალი, ზნეობა, როცა თქვენ ხელფასები გაიორმაგეთ, ხოლო 45 კაცისთვის პენსია ვერ მიგიციათ-მეთქი.

**— საქართველოში სულ 45 ადამიანია, რომელსაც მსგავსი პრობლემა გაქვთ?**

— სულ 45. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მიზერულ თანხებზეა საუბარი, ეს ფული ბიუჯეტს დიდად არც დააკლდება. ძალიან მაინტერესებს, ნეტა. რისთვის უხდიან პოლიტიკურ პარტიებს მილიონებს?! ასეთი საკითხიც კი ვერ გადაუწყვეტიათ, არადა, ყველგან ვიყავი...

**— ახალ ხელისუფლებასთან თუ სცადეთ ჩივილი.**

— რა თქმა უნდა. იმედი მქონდა, რომ რამე გამოსწორდებოდა. აგერ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ცვლილება არ ხდება. იმთავითვე გავუგზავნე წერილი უსუფაშვილს (მოგეხსენებათ, პარლამენტარების თბილისში შეხვედრა რა რთულია. ქუთაისში ჩასასვლელი თანხა კი არა მაქვს). მან დააწერა ეს საქმე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს. აი, სესიაშვილი რას მწერს: **„კომიტეტის აპარატი უკვე მუშაობს ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ვეტერანთა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და კომიტეტისთვის მიწოდებული წინადადებებისა და კანონპროექტების მიზანშეწონილობაზე. კომისიის მიერ შემუშავებული წინადადებები და კანონპროექტები აუცილებლად დადგება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის დღის წესრიგში“.** რომ იცოდეთ, ასეთი ზღაპრები რამდენჯერ მოუწერიათ ჩემთვის.

**— როდის მოგწერათ პასუხი?**

— 22 იანვარს. ამის შემდეგ რითი ვერ მოიცალეს ამ საკითხისთვის, საინტერესოა?! მივწერე ეკა ბესელიას კომიტეტსაც. იქიდან დამირეკეს და შემომთავაზეს, თქვით უარი შვილის პენსიაზე და ავტომატურად მიიღებთ ასაკის პენსიასო. ოფიციალური წერილი მომაწოდეთ-მეთქი, მაგრამ ჩამიჩუმი არ ისმის. მივმართე იურიდიულ კომიტეტს, განიხილეთ ეს საკითხი-მეთქი, არანაირი გამოხმაურება...

**— იმედია, შეიტანს ცვლილებებს პარლამენტი მიღებულ კანონში, თუმცა ეს, სავარაუდოდ, შემოდგომაზე თუ მოხდება. ჩვენ ჩვენი მხრივ, შევეცდებით, დავუკავშირდეთ უფლებამოსილ დეპუტატებს და განხილვა დავაჩქარებინოთ.**

— მადლობელი დაგრჩებით, თქვენ თუ ამას მოახერხებთ.

სხვათა შორის, არ ვიცოდი, თორემ თურმე შემეძლო სარჩელი სტრასბურგში შემეტანა და გამესაჩივრებინა, მაგრამ რჩევა არავინ მომცა. მართალია, დროში გაიწელებოდა, მაგრამ სამართალს აუცილებლად ვიპოვიდი.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

◎ ესეც ასე!!!

# „პირველი დედის“ „საგანმანათლებლო“ ვნებანი,

## ანუ GEORGIAN UNIVERSITY თუ ალასანია-სანაძეების უნივერსიტეტი?

***როდესაც** განათლების სამინისტრომ საუნივერსიტეტო განათლების სფეროში თავისი ინიციატივები ნათელყო, რაც ზოგიერთ პრიორიტეტული მიმართულებით სწავლების დაფინანსებას, სააკაშვილის პერიოდში სხვადასხვა მაქინაციით სახელმიწფო ქონების დამთრევი უნივერსიტეტების უკან, საჯარო სექტორში დაბრუნებას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში აკადემიური საბჭოების და რექტორის არჩევნების პროცესის რეგულირებას, ზოგან რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პრემიერ-მინისტრის მიერ დროებით დანიშვნას ეხებოდა, ამას სააკაშვილის მიერ გა-ააიპ-ებული და კერძო უნივერსიტეტების მფლობელთა საკმაოდ მკაცრი კრიტიკა მოჰყვა.*

*გადაწყვეტილებების პაკეტი მართლაც შეიცავს ბევრ საკამათო პუნქტს და უმჯობესი იქნებოდა, რომ განათლების სამინისტროს ამ ცვლილებებზე ღიად და არგუმენტირებულად ემსჯელა, თანაც მანამ, სანამ პაკეტს პარლამენტში შეიტანდნენ, მაგრამ ახალ ერთ კონკრეტულ ალმა მატერზე მინდა შევჩერდე.*

*ეს ალმა მატერ — №1 Mother-ს უკავშირდება, ქალბატონ პროფესორს **გიული ალასანიას**.*

ქალბატონმა გიულიმ ამ დებატებში ჩართვა, ალბათ, თავისი განსაკუთრებული პოლიტსტატუსის გამო, შეუფერებლად ჩათვალა და ავანგარდში თავის მფლობელობაში მყოფი საქართველოს უნივერსიტეტის თანამფლობელი და რექტორი, პროფესორი მანანა სანაძე და კანცლერი კოკა თოფურია წარგზავნა (უნივერსიტეტის ვებგვერდიდან ნათელი ხდება, რომ ბატონი ნიკოლოზი ამავე დროს არის საქართველოს უნივერსტეტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის — ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის სკოლის დირექტორიც).

ქალბატონმა მანანამ მაინცდამაინც ვერ ივარგა — რომელ ტელეშოუშიც არ გამოჩნდა, ყველგან თავისი საოცარი ნაკლებკომპეტენტურობა, მაღალდემაგოგიურობა და სხვისი აზრის მიმართ საოცარი უპატივცემლობა გამოაჩინა და ბოლოს, თსუ სტუდენტის ლევან ლორთქიფანიძის კრიტიკის და სტილის ვერამტანმა, მედიდურად დატოვა სტუდია.

ბატონმა კოკამ პუბლიცისტურ არენაზე მოსინჯა საკუთარი უნარ-ჩვევები და უნდა ითქვას, უფრო უკეთ წარმოჩნდა, ვიდრე უფროსი კოლეგა. აი, ამონარიდი მისი ინტერვიუდან კომერსანტ.გე-სთან:

http://www.commersant.ge/?page=personal&bloger=20&id=12

**„სახელმწიფო უნივერსიტეტების აგონიას 20 წელიწადზე მეტია ვაკვირდებით და ეს პროცესი, სახელმწიფოს ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, გარდაუვალია. შესაბამისად მკვეთრად განსხვავებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი კერძო უნივერსიტეტებსა და ყოფილ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის. მაგალითად, საქართველოს უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 92%-ს აღემატება, ანალოგიური სურათია სხვა წამყვან კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, მაშინ, როცა ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტებში ეს მაჩვენებელი იშვიათ გამონაკლისებში თუ აღწევს 40%-ს.“**

**„2011 წლიდან ყველა უნივერსიტეტი, გარდა ბათუმის საზღვაო აკადემიის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, ქუთაისის სამუსიკო კოლეჯისა და დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის აკადემიისა, გახდა კერძო — კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი.“**

**„დღეს ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტების სასათბურე პირობებში ჩაყენება, როცა სახელმწიფო გამორჩეულად აფინანსებს მათ და მომხმარებლისთვის (სტუდენტისთვის) საუნივერსიტეტო მომსახურებას უფასოს ხდის, შეაჩერებს ან საგრძნობლად შეანელებს კერძო უნივერსიტეტების განვითარებას.“**

**„ამ ნაბიჯით სახელმწიფო სასტიკ კონკურენციას უწევს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს და აფრთხობს იმ ინვესტორებს, ვინც ამ დარგს აფინანსებენ. 2003 წლიდან დღემდე უმაღლეს საგანმანათლებლო ბიზნესში 100,000,000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების კერძო ინვესტიცია განხორციელდა. სწორედ ამან განაპირობა ამ წლებში თანამედროვე სტანდარტების კერძო უნივერსიტეტების აღმოცენება. თუ ეს ბაზარი უინტერესო აღმოჩნდება ინვესტორებისთვის, აღარ განხორციელდება მომავალში კერძო ინვესტიციები. კერძო უმაღლესების წილი ბაზარზე შემცირდება სახელმწიფო უნივერსიტეტების სასარგებლოდ. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ამჟამად სახელმწიფოს საზრუნავი ბაზრის 60%-ია, მომავალში ეს პროცენტი მოიმატებს, მაშინ, როცა სახელმწიფო ხარისხიანი მომსახურებით ბაზრის 60%-ის დაკმაყოფილებასაც ვერ ახერხებს. კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარებისთვის ხელშეშლა ახლად ფეხადგმული ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო ინდუსტრიის დასამარების ტოლფასია.“**

**მასალა მოამზადა ირაკლი ლექვინაძემ (ცნობისთვის — ირაკლი ლექვინაძე გიგა ნასარიძის ყბადაღებული არასამთავრობო ორგანიზაციის — „საქართველო არ იყიდება“-ს გამგეობის წევრია).**

მაგრამ, მოდით, გავყვეთ საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიას და ცოცხალ მაგალითზე ვნახოთ, როგორ „აკვირდებოდნენ“ გიული ალასანია, მანანა სანაძე და კოკა თოფურია სახელმწიფო უნივერსიტეტების კვდომის პროცესს და მხოლოდ „დაკვირვება“ იყო ეს თუ ამ კვდომის აქტიური ხელშეწყობა.

**აი, როგორ აღწერს ამ პროცესს თავად საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი** http://www.gu.edu:

**დაფუძნება —**

**„2002 წლის მიწურულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორმა პროფესორმა გიული ალასანიამ და მანანა სანაძემ გადაწყვიტეს, გაეხსნათ ამერიკათმცოდნეობის ცენტრი, რომელიც მოამზადებდა მაგისტრანტებს ამერიკათმცოდნეობის მიმართულებით. ცენტრი დაფუძნდა სტუ-ს ბაზაზე.**

იხ. 3 გვ.

**(მესამე გვერდიდან)** ცენტრის მუშაობის მიზანი იყო ამერიკის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყნის შესწავლა და კვლევა. მოგვიანებით, ანალოგიური პროგრამები მომზადდა ევროპათმცოდნეობის მიმართულებითაც. პროგრამები შემუშავებული იყო იმ პრინციპით, რომ მაგისტრანტს, ამერიკის, თუ ევროპის ზოგადად შესწავლასთან ერთად, შესაძლებლობა ეძლეოდა, თავისი სურვილის შესაბამისად, დასპეციალებულიყო საზოგადოების ცხოვრების რომელიმე სფეროს მართვის დასავლურ მოდელში: საჯარო ადმინისტრირების, ბიზნეს-ადმინისტრირების, კულტურისა და განათლების მენეჯმენტის და ა.შ. მიმართულებით. 2004 წლის 1 ოქტომბრიდან აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა დაიწყო 35 მაგისტრანტმა.

2004 წლის 21 ივლისს შეიქმნა შპს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა (სმს). დამფუძნებლები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და კერძო პირები: პროფესორები გიული ალასანია და მანანა სანაძე.

საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (სმს)

სმს სწრაფად განვითარდა. სულ მალე მაგისტრანტების რიცხვმა 100-ს გადააჭარბა. მრავალფეროვანი გახდა მისი პროგრამებიც. იმავე 2004 წელს, პარტნიორებმა გადაწყვიტეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების — უნივერსიტეტის დაფუძნება. შ. პ. ს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას, როგორც დამფუძნებელს, გადაერქვა სახელი და ეწოდა: „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტი". დამფუძნებლების ირგვლივ შემოიკრიბა თანამოაზრეთა და მაღალკვალიფიცირებულ პროფესორთა გუნდი, რომელთა უანგარო და თავდაუზოგავმა შრომამ ისეთი რთული წამოწყება, როგორიც, თანამედროვე, XXI საუკუნის უნივერსიტეტის შექმნაა, რეალობად აქცია.

შემუშავდა უნივერსიტეტის წესდება, სტრუქტურა და ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანო — მეურვეთა საბჭო. 2005 წლის 24 მარტს ჩატარდა მეურვეთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც მეურვეთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია გიული ალასანია, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორად კი — მანანა სანაძე. 2005 წლის მიწურულს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გამოვიდა შპს „საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან" და თავისი უფლება-მოვალეობები გადასცა დარჩენილ პარტნიორებს.

**მოკლედ, წაიკითხავ და გული გაგინათდება — აი, როგორ ვითარდებოდა კერძო საუნივერსიტეტო საქმე ერთი ცალკე აღებული სკოლის მაგალითზე.**

**ახლა კი, ვნახოთ იმავე პროცესებზე ნანა ლეჟავას სტუდია GNS-ის საგამოძიებო ჟურნალისტური კვირის რეპორტაჟის 2011 წ. 20 ნოემბრის გამოცემა: (http://www.youtube.com/watch?v=jI_2ig17z3k) იხილეთ 15:30-დან.**

**2004 წლის 23 ივლისს ალასანია-სანაძის „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლას" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) მე-6 კორპუსის მე-4 სართულზე „ბ" ბლოკი გადაეცა. მაშინ სტუ თავად იყო ამ სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და, ამდენად, ფართის გამოყოფა საეჭვოდ არ ჩანდა. მაგრამ 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტმა „მოულოდნელად" ისეთ კანონს მოაწერა ხელი, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეკრძალებოდათ რაიმე სხვა საწარმოებში წილის მფლობელობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამით ისარგებლეს (ჰოი, საოცრებავ!) სწორედ მ. სააკაშვილის ახლობლებმა — კავკასიის ბიზნეს სკოლის დამფუძნებელმა კახა შენგელიამ (რომელიც ტრიუმვირატის — თბილისის სახ. უნივერსიტეტის და თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სტრუქტურის — კავკასიის ბიზნეს სკოლის — ერთადერთი მფლობელი გახდა) და სააკაშვილის დედიკომ — გიული ალასანიამ, რომელიც თავის დაქალ მანანა სანაძესთან ერთად კერძო ბიზნეს-სტრუქტურის მფლობელი ისე გახდა და ისე დაიტოვა გადაცემული ფართი, რომ ამაში სტუ-ს მხოლოდ 200 ლარი გადაუხადა!**

ისევ საქართველოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დავბრუნდეთ:

**საქართველოს უნივერსიტეტი**

**„2005-2007 წლებში უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამაგისტრო პროგრამებს საბაკალავრო პროგრამები დაემატა. პირველი ბაკალავრები უნივერსიტეტმა მიიღო 2005 წლის სექტემბერში, სულ 117 სტუდენტი.**

**2007 წლისათვის უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რიცხვმა 600 გადააჭარბა.**

**2006 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში ამუშავდა სადოქტორო პროგრამები. პირველი დოქტორანტი, რომელსაც თავისი სადოქტორო პროგრამის კრედიტების ტრანსვერის (სტილი დაცულია!), სუ-ში სადოქტორო დისერტაციის დასრულების, ნაშრომის წიგნად გამოცემისა და 2006 წლის 19 ნოემბერს სუ-ის ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წინაშე სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, დოქტორის ხარისხი მიენიჭა, იყო ედუარდ რობერტ რაუპი.**

**(ცნობისათვის — სადღეისოდ, ედუარდ რაუპი საქართველოს უნივერსიტეტის 12,5% წილს ფლობს, ისევე როგორც გიული ალასანიას ძმისშვილი ნიკოლოზ ალასანია. თავად გიული ალასანია და მანანა სანაძე — 37,5%-37,5%. ადვილი დასათვლელია, რომ ალასანიების ოჯახი 50%-იან წილს ფლობს.)**

**„საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ისევე როგორც თვით უნივერსიტეტი, წარმოიშვა და არსებობს 2004 წლიდან. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი თავდაპირველად შეიქმნა დამფუძნებელთა შემოწირულობის საფუძველზე. უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, პროფესორმა გიული ალასანიამ ჯერ კიდევ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა საკუთარი საოჯახო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი; იმავე პერიოდში პროფესორმა მანანა სანაძემ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა 600, მისმა მეუღლემ მერაბ თოფურიამ 800, ხოლო ძმამ ვლადიმერ სანაძემ 200 წიგნზე მეტი."**

**სტოპ!..**

**ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ინფორმაცია არც ისე უმნიშვნელოა.**

როგორც მახსოვს, იგივე გვარ-სახელის მქონე ბატონი — ვლადიმერ (ვოვა) სანაძე-შევარდნაძის დროს განათლების სამინისტროს მაღალი ჩინის ფუნქციონერი იყო. თუ არ მეშლება, იგი მინისტრ ლადო კარტოზიას მოადგილე გახლდათ და რაღაც კორუფციულ სქემებშიც იყო, მგონი, გარეული. თუ მეშლება, ბოდიშს ვიხდი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ არ მეშლება.

ასე რომ, თუ მანანა სანაძის ძმა სწორედ ის ვლადიმერ სანაძეა, ლოგიკურია, დავუშვათ ასეთი სქემა: 2002 წელს სწორედ ვლადიმერ სანაძის „დახმარებით" გაიხსნა სტუ-ში ამერიკათმცოდნეობის ცენტრი, ხოლო, როცა ქვეყანაში მთავრობა „აყირავდა", უკვე გიული ალასანიამ გააგრძელა დაქალის დაწყებული საქმე და **ვლადიმერ სანაძის „კრიშა" გაცილებით შთამბეჭდავი — პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „კრიშით" ჩანაცვლდა.**

მიაქციეთ ყურადღება იმასაც, რომ ქ-ნა მანანა სანაძის მე-

# „პირველი დედის" „საგანმანათლებლო" ვნებანი,

## ანუ GEORGIAN UNIVERSITY თუ ალასანია-სანაძეების უნივერსიტეტი?



უღლე თურმე გვარად თოფურია ყოფილა!

**როგორ გგონიათ, ახალგაზრდა კანცლერი კოკა თოფურია, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დეკანობასაც ითავსებდა, შემთხვევით ქ-ნ მანანას ნათესავი ხომ არ არის — მეუღლის მხრიდან?**

მე მგონი, რომ არის.

**მეტიც, მგონია, რომ უბრალოდ შვილია.**

ვთხოვ, ჟურნალისტებს ამ ფაქტის გარკვევას. თუ ვცდები, სახალხოდ მოვუხდი ბოდიშს ბატონ კოკა თოფურიას.

**ორი საინტერესო ფაქტი:**

**1) არსებობს პატარა წიგნი** — „საქართველოს ისტორიული ატლასი" / ავტორები: მანანა სანაძე, თამაზ ბერაძე, კოკა თოფურია (რედ.: ნანო იორამაშვილი). — (თბ. : საქ. მაცნე, 2003). — 48გვ. : რუქ. ; 29სმ.

**საინტერესოა, რა როლი ეკისრა 2003 წელს ჯერ კიდევ სტუდენტ და მომავალში ეკონომისტ კოკა თოფურიას „საქართველოს ისტორიული ატლასის" შედგენაში.** ალბათ, ძირითადად ის, რომ მანანა სანაძეს უნდოდა კოკა თოფურიას ნაბეჭდი შრომები ჰქონოდა, რაც მერე „წაადგებოდა". გაგიგიათ, რომ საქართველოში მხცოვანი პროფესორი თავის რომელიმე არანათესავ სტუდენტზე ასეთ ზრუნვას იჩენდეს? მე პირადად ასეთი 2 შემთხვევა ვიცი მხოლოდ, მაგრამ იქ სტუდენტი მეუღლის მოგვარე არ იყო.

**2) ბრძანება №99/12 — საქართველოს უნივერსიტეტი**

„ვლადიმერ სანაძე — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი" http://www.ug.edu.ge/geo/news_full1.php?nid=1364

და, ძმა, დისშვილი და დის რძალი? რაფაელი რომ ცოცხალი იყოს, წმინდა ოჯახის ახალ ვერსიას დახატავდა.

თუმცა, ხომ ვიცით, რომ საქართველოში კერძო საუნივერსიტეტო ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოგების გარდა, ოჯახის წევრების სრულყოფილი და სრულფასოვანი დასაქმება და დახელფასებაა? **ამ ტიპის დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ხომ უფრო გასაგები ხდება ბატონი კოკა თოფურიას სტატიის პათოსი და შეშფოთებები?**

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, როგორ დაეუფლა თანდათან, სხვის ბუდეში გაზრდილი გუგულის ბარტყივით საქართველოს უნივერსიტეტი სტუ-ის ქონებას. **ეკონომიკის სამინისტრომ 2007 წლის მაისში ისევ „მოულოდნელად" სტუ-ს დიდი ფართი 6300 კვ. მ შენობა და 2,200 კვ.მ მიწის ნაკვეთი ჩამოართვა და ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც მხოლოდ გიული ალასანიამ მიიღო მონაწილეობა (ნეტა, რატომ არავინ შეეცილა?) და, ამდენად, საწყის ფასშივე იყიდა.**

ახლა კი მოუსმინეთ კანცლერ კოკა თოფურიას, რომელიც იმ მომენტისათვის (2007 წელს) საქართველოს უნივერსიტეტში ბუღალტერი იყო **(საინტერესოა, შეთავსებით სტუდენტიც ხომ არ იყო).**

(მეორე ეპიზოდი GNS-ის საგამოძიებო ჟურნალისტური გადაცემის „კვირის რეპორტაჟის" 2011 წ. 20 ნოემბრის გამოცემა (http://www.youtube.com/watch?v=jI_2ig17z3k) იხილეთ 20:48-დან.

**ნახეთ, რას ამბობს ბატონი კოკა:**

**— „ვინმე რომ არ შემოგვხტომოდა ტენდერში — ამიტომ გავაკეთეთ ჩვენ... ამიტომ გამოვიტანეთ გასაყიდად ისე, რომ პროფილი შევუნარჩუნეთო!"**

ანუ, იმისათვის, რომ ვინმეს ეს ფართი სხვა მიზნებისთვის შესაფერისად არ მოსჩვენებოდა, პროფილი იქნა სპეციალურად შენარჩუნებული! **და ეს გააკეთა არა ეკონომიკის სამინისტრომ, არამედ გიული ალასანიამ! ტენდერის პირობები განსაზღვრა არა სახელმწიფომ, — არამედ გიული ალასანიამ, ანუ იმ პირმა, ვის მოსაგებადაც იყო დაგეგმილი ეს „არშემოსახტომი ტენდერი". ამას მთელ მსოფლიოში „ინსაიდერული გარიგება" ეწოდება, რომლის ორივე მონაწილე კანონით ისჯება. იშვიათი მასშტაბის აღიარებითი ჩვენებაა ბატონი კოკას მხრიდან.**

სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, 2007 წლისვე, აგვისტოში საქართველოს უნივერსიტეტმა, რომელსაც მადა ჭამაში მოუვიდა — **სტუ-ის მფლობელობაში არსებული 9,000 კვ.მ. სპორტული მოედნებიც იყიდა, ისევ უკონკურენტო ტენდერში და ისევ საწყის ფასად 305,000 დოლარად.**

სტუ-ის რექტორი რამაზ ხუროძე ამას ყველაფერს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ კოკა თოფურია აქაც ბრწყინვალედ ხსნის ამ წინააღმდეგობის „უპერსპექტივობას".

**„— რამაზს ისეთი რამეები ჰქონდა გაკეთებული, ისეთი რამეები ამოუქექეს, რომ ხმამაღლა, ხმალამოღებული ვერ დაიწყებდა ბრძოლასო."**

**ესეც მეორე აღიარებითი ჩვენება, რომ ხუროძეზე ზეწოლა ხდებოდა.**

**იგივე ეხებოდა შემდგომ რექტორს — არჩილ მოწონელიძესაც.**

პრეზიდენტ სააკაშვილის დედას გიული ალასანიას მინიმალურ ფასად მიჰყიდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობები, მათ შორის — თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსი, ბათუმში საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა და 1 ჰექტარი მიწა. **ეს ქონება მილიონ ლარად იყო შეფასებული.** ამასთან დაკავშირებით, 2011 წელს ინფორმაცია საერთაშორისო ანტიკორუფციულმა ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობამ-აც" გამოაქვეყნა:

**„2011 წლის 5 დეკემბერს, აჭარის მთავრობამ ჯავახიშვილის 5-ში (საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა) მდებარე 1556 კვ.მ ტერიტორია პრეზიდენტის დედის გიული ალასანიას მფლობელობაში არსებულ „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას" სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და 12 თვეში დაამთავროს სკოლის მშენებლობა.**

**ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ხელშეკრულების თავდაპირველ ვერსიაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 150-დან 60-მდე, ასევე შემცირდა დასასაქმებელ მოქალაქეთა რიცხვი 95-დან 30-მდე. გარდა ამისა, სიმბოლურ ფასად გადაეცათ საჯარო რეესტრის სარგებლობაში რიცხული ყოფილი ინვენტარი (ოდენობა: 278 ერთეული, ღირებულება: 27 672 ლარი)", — ვკითხულობთ ორგანიზაციის ანგარიშში.**

GNS-ის ჟურნალისტური გამოძიებიდანვე ირკვევა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 მარტის განკარგულებით „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს" (რომლის პრორექტორიც გიული ალასანიაა) კახეთის გზატკეცილზე, ყოფილი „ავტოვაზის" მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 101 222 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადაეცა. **ამ ჩამონათვალში კიდევ რამდენიმე სასწავლო დაწესებულების შენობაა, რომელთა საერთო ღირებულება რამდენიმე მილიონს შეადგენს.**

**დაბოლოს, იმის შესახებაც, როგორი ფანტასტიკურია ხარისხი ამდენი წვალებით შექმნილ კერძო საუნივერსიტეტო „ოაზისში":**

**„საქართველოს უნივერსიტეტის" სტუდენტები უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან 14-პუნქტიანი მოთხოვნების შესრულებას მოითხოვენ.**

**16:24 / 12-11-2012**

**http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/23389-qsaqarthvelos-universitetisq-studentebis-saprotesto-aqcia.html**

**უნივერსიტეტთან შეკრებილი სტუდენტები მოითხოვენ ადმინისტრაციისგან საერთაშორისო აკრედიტაციას და სტუდენტების თვითმმართველობაში ჩართულობას. ასევე, სტუდენტებს მოთხოვნები აქვთ ბიუჯეტთან დაკავშირებით. მათი თქმით, უნივერსიტეტში თანხები არამიზნობრივად იხარჯება.**

**მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტები განათლების სამინისტროს მიმართავენ თხოვნით, რათა აღნიშნული საკითხები შეისწავლონ.**

**სტუდენტების თქმით, მათთან უნივერსიტეტის კანცლერი კოკა თოფურია ჩამოვიდა, რომელმაც სტუდენტებს განუცხადა, რომ აღნიშნული აქცია არასანქცირებულია და მათ დააჯარიმებენ. სტუდენტებისვე თქმით, დაახლოებით 700-მდე სტუდენტს უნივერსიტეტიდან გარიცხვით ემუქრებიან.**

**„პალიტრა ტვ" უნივერსიტეტის რექტორს მანანა სანაძეს დაუკავშირდა, რომელმაც თავიდან კომენტარზე თანხმობა განაცხადა, თუმცა, მოგვიანებით „პალიტრა ტვ"-ის კორესპონდენტთან შეხვედრაზე უარი თქვა.**

**აქციის მონაწილე სტუდენტები დაშლას არ აპირებენ, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.**

სააკაშვილის დროს კარგი ადგილის გარეშე არ დარჩენილა სანაძეების ოჯახის კიდევ ერთი წევრი და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისთვის წიგნების შემომწირველი, მანანა სანაძის მეუღლე — მერაბ თოფურია. იგი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა და დღემდე იქ მუშაობს.

**ნანა ლეჟავას და სტუდია GNS-ის საგამოძიებო რეპორტაჟი მეტად საგულისხმო ციტატით მთავრდება:**

იხილეთ 28:30:

**„ჩვენ ვართ ის მთავრობა, რომელსაც ხელზე არაფერი გვეკრობა!" (მიხეილ სააკაშვილი)!**

**დემაგოგიის და თვალში ნაცრის შეყრის მწვერვალი"**

**სოლომონ თერნალი**

# რა გადაარჩენს საქართველოს?

**წერენ, საქართველოში ქართველთა რიცხოვნობა 2050 წლისთვის კატასტროფულად შემცირდებაო. ვფიქრობ, ეს დრო გაცილებით ადრე დადგება, თუ არ შემუშავდა რეალობის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია. ამისთვის საჭიროა ქვეყნის ინტელექტუალთა მობილიზება, რათა მათ განახორციელონ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა.**

**ბუნებრივია, მოვლენებს უსასრულო ფაქტორები წარმართავენ, ამიტომ ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფების მცდელობა ამ კუთხით დასახულ ამოცანას სრულყოფილად ვერ შეასრულებს. ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც ორთოდოქსად, შეუვალად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაგრამ მასზე სერიოზული მსჯელობა, ვფიქრობ, აუცილებელია.**

აქვე იმასაც აღვნიშნავდი, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ერის წინაშე დიდი ამოცანა შეასრულა — მისი თაოსნობით დამარცხდნენ სააკისტები, რომელთა ქმედებანიც საქართველოს უფსკრულისაკენ მიაქანებდა, მაგრამ, თუ ცხოვრების წესებს რადიკალურად არ შევცვლით, სულ მალე ქვეყანა კვლავ დიდი განსაცდელის წინაშე დადგება.

საქართველოს აწმყოს და მომავლის ხელმძღვანელებს ვურჩევ, რომ თანამდებობა არ გამოიყენონ თვითდამკვიდრების და სახელის მოსაპოვებლად. მათთვის მთავარი არ უნდა იყოს ძალაუფლების მოპოვება; მაგალითად, ასეთი რამ გულშიც არ უნდა გაივლონ: „ჩემთვის სულერთია ვისი ხელმძღვანელი ვიქნები-ქართველებით თუ არაქართველებით დასახლებული ქვეყნის“. ამგვარი მსჯელობა ერის წინაშე უდიდესი დანაშაულია, ძალაუფლებით და პოპულარობით მონიჭებულმა ნეტარებამ არ უნდა დაგვავიწყოს ქართველი ხალხის წინაშე აღებული უწმინდესი მოვალეობა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით საჭიროა სასტიკად აიკრძალოს მიწების გადაცემა (რა ფორმითაც უნდა იყოს იგი) უცხოელებზე. ასევე არ უნდა განხორციელდეს ინვესტიციები იმ ქვეყნებიდან, რომელთა ინვესტორებს თავიანთი მუშა-მოსამსახურეები ჩამოჰყავთ და ამკვიდრებენ საქართველოში. ეს გარემოება ქართველს სასიცოცხლო სივრცეს უმცირებს. შედეგად ათასობით ახალგაზრდა ლუკმაპურის მოსაპოვებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება და ქართული მიწა, ასე ვთქვათ, სულ მალე ქართველებისაგან დაიწრიტება.

ჩვენი მოსაზრებით, საჭიროა ახლავე დაიწყოს (მხოლოდ რევოლუციურად არა) ეკონომიკის სახელმწიფო რელსებზე გადაყვანა. პირველ ხანებში უნდა შეიქმნას მცირე მოცულობის სახელმწიფო საწარმოები. ასე მოიქცნენ იაპონელები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. ამერიკელი თეორეტიკოსები — ბრონერი და თაროუ აშშ-ს ადმინისტრაციას ურჩევენ, რომ ეკონომიკა სასწრაფოდ სახელმწიფო რელსებზე გადაიყვანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება 1927/37 წლების ე.წ. დიდი რეპრესიები. ამასვე ურჩევს აშშ-ში მოღვაწე თვალსაჩინო ეკონომისტი ლაზარევი რუს ხალხს.

ლიბერალურ პრინციპებზე დამკვიდრებულმა წეს-წყობილებამ კაცობრიობას დიდი ზიანი მიაყენა. მისთვის ასეთი დარტყმა არც ერთ პოლიტიკურ ფორმაციას არ მიუყენებია. მართალია, სოციალიზმის დამყარების მცდელობას ამ კუთხით არც ერთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ამ მცდელობამ ზოგან დიქტატორული ეტატიზმი გამოიწვია, ზოგანაც — დემოკრატიული ეტატიზმი. დღევანდელ საქართველოს სწორედ დემოკრატიული ეტატიზმი მიესადაგება.

კერძო საკუთრების ჰეგემონია სულ მალე საქართველოს ქართველებისაგან დაცლის. ერთმა მუჭა ბიზნესმენებმა ხელში ჩაიგდეს ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი. შედეგად გაღარიბებული მოსახლეობა, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ბედის საძიებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება.

ყოვლად დაუშვებელია ღარიბი ქვეყნის თანამდებობის პირებს ესოდენ მაღალი ხელფასები ჰქონდეთ და მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობდეს. ამ მოვლენას სასწრაფოდ ყურადღება უნდა მიექცეს.

საერთოდ, ქართველმა ხალხმა მაქსიმალურად უნდა გამოამჟღავნოს ეროვნული თვითშეზღუდვის უნარი, რაც უცილობლად გვავალებს, პრობლემები დაიყოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად. რომელმა ერმაც ვერ გამოამჟღავნა ეს უნარი, მას მხოლოდ ისტორიულ ანალებში მოიხსენიებენ.

ღრმად მწამს, რომ 15-20 წლის შემდეგ სახელმწიფოთა უმრავლესობა დემოკრატიულ ეტატიზმზე გადავა. მით უმეტეს, საქართველოსთვის ეს გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, ვინაიდან ქართველ ხალხში ძალზე დაბალია ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე. ლიბერალიზმი, ისიც შერეული სახით, ჯერ კიდევ არსებობს მდიდარ სახელმწიფოებში, სადაც მოქალაქეთა ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების დონე საკმაოდ მაღალია.

**ეროვნული თვითშეგნების მქონე ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა პატრიოტული სულისკვეთებაა. მისი ქმედება შორს გამიზნულია, არ ემყარება უეცარი ცდომილების ეფექტს, პოპულისტობას და ერის აწმყო და სამომავლო კეთილდღეობას ემსახურება. ეს ქმედება თანხვედნაშია კაცობრიობისა და სხვა ერების ინტერესებთან. ამგვარი თვისებების მატარებელი ადამიანი კაცობრიობის უწყვეტი არსებობის ფუნქციურ რგოლსაც წარმოადგენს. აცნობიერებს რა პირადულ და ერის უარყოფით მხარეებს, თვითაღზრდით, თვითცნობიერებით და თვითდაკვირვებით ეროვნულ თვითშეგნების დონეს დღენიადაგ იმაღლებს, იღვწის ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.**

**ეროვნული თვითცნობიერების მქონე ადამიანს მარადიული სიცოცხლის განცდა ეუფლება, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში სამშობლოსთვის თავგანწირვა მისთვის წმიდათაწმიდა საქმეა და მას ეს ქმედება დიდ სულიერ სიამოვნებას ანიჭებს.**

**ასაკრძალია პროფესიული სპორტი, რაზედაც ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება, რაც საკმარისი იქნებოდა სრულყოფილი უფასო მკურნალობის შემოსაღებად. მეორე მხრივ, იგი ადამიანების გაჯანსაღებას ხელს არ უწყობს. ასეთად გვესახება ფიზკულტურა და სამოყვარულო სპორტი, რაც გაცილებით ნაკლები თანხა დაგვიჯდება. პროფესიული სპორტის შემოღებას ვეებერთელა და ეკონომიკურად ძლიერი საბჭოთა კავშირიც კი ვერ ბედავდა.**

ბავშვები შიმშილით გვეხოცებიან, მაშინ, როდესად პროფესიული სპორტის წარმომადგენლების ხელფასი უმაღლესია, ხოლო საზღვარგარეთიდან მოწვეული სპორტსმენები და მწვრთნელების თვიური ხელფასი ათიათასობით ლარით განისაზღვრება.

ვფიქრობ, უზენაესი მოგვიტევებს, თუ ერის ძნელბედობის ჟამს გრანდიოზული სალოცავების აგებას მერმისისთვის გადავდებთ და დაზოგილ სახსრებს მოსახლეობის გადასარჩენად გამოვიყენებთ.

თქმა არ უნდა, სოფლად სასწრაფოდ შემოსაღებია ჯგუფური მეურნეობები, მაგრამ საკითხავია, როგორი ფორმით — ფერმერული, კოლექტიური, კოოპერატიული თუ სახელმწიფო მეურნეობის სახით? ქართველი ადამიანის მენტალიტეტის და რეალობის გათვალისწინებით დღევანდელობას მიესადაგება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობები. რასაკვირველია, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს. სხვა ფორმის მეურნეობა ჩვენში მყისვე გადაიქცევა კერძო ოჯახურ მეურნეობად.

დავუშვათ, სოფელში ცხოვრობს ათასი ოჯახი. ფერმერული, ანუ კოოპერატიული მეურნეობის პირობებში, სავარგულების სიმცირის გამო, საჭიროა დასაქმდეს მაქსიმუმ 300 ოჯახი, დანარჩენები კი აიყრებიან სოფლიდან და ლუკმაპურის საძიებლად საზღვარგარეთ ან ქალაქში გაემგზავრებიან. სახელმწიფო მეურნეობის პირობებში სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმდება და საერთო სიმდიდრე გაწეული შრომის მიხედვით იქნება განაწილებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ფერმერი ჩვეულებრივი ბიზნესმენია და ისეთივე ფუფუნებაში ცხოვრებას მოისურვებს, როგორც სხვა დარგის ბიზნესმენი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტიციები უნდა განახორციელონ ქართველმა ბიზნესმენებმა (შინ და საზღვარგარეთ მოღვაწეებმა) და ისეთი სახელმწიფოს ინვესტორებმა, რომლებსაც მუშახელი არ ჩამოჰყავს საქართველოს მიწაზე დასამკვიდრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სულ მალე, ასე ვთქვათ, თვითოკუპაციის მსხვერპლი გახდება.

რატომ ხდება, რომ საქართველოს ხელმძღვანელებად უმეტესწილად ევლინებიან ისეთი ინდივიდები და პარტიები, რომელთაც არ ძალუძთ ქვეყანა სწორი გზით ატარონ? ამის მიზეზი უსასრულო ფაქტორებია, მაგრამ ერთი კი ცხადია — ქართულ წიაღში ძნელად წარმოიშობა საღი აზრი. დღემდე მიდის კამათი იმის შესახებ, რომ 1989 წლის აპრილის აქციებმა დადებითი შედეგი მოგვიტანა თუ უარყოფითი? რა თქმა უნდა — უარყოფითი! დავუპირისპირდით უზარმაზარ რუსეთს და ისიც მყისვე სეპარატისტების მხარეზე დადგა. სწორედ აქედან იწყება საქართველოს ტერიტორიის რღვევა და ზოგ რეგიონში პატრიოტული სულისკვეთების შესუსტება.

აზერბაიჯანმა რუსეთისაგან გაცილებით მეტი დარტყმა მიიღო, როგორც 1918-20 წლებში, ისე გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასასრულს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, მაგრამ იგი არც დსთ-დან გამოსულა და რუსეთთანაც მეტად ფრთხილ პოლიტიკას წარმართავს. აგრეთვე, ეძებს გზებს ევროპასთან დასაახლოებლად, ისე რომ, რუსეთი არ გააღიზიანოს.

საღი აზრის უქონლობის შედეგია ის, რომ ქართულ მიწაზე 9 წლის განმავლობაში ანტიქართული ძალები დაპარპაშებდნენ და ქვეყანას კატასტროფისაკენ მიაქანებდნენ. კიდევ უფრო აღმაშფოთებელია ისიც, რომ ქვეყნის დამაქცევრები ლამობენ კვლავ მოვიდნენ ხელისუფლებაში. უღირსთა ამ მცდელობას ჯერჯერობით ქართველი ხალხი ჯეროვნად არ დაპირისპირებია.

ავაზაკურმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის გაზრდის მიზნით გაყიდა ქართული მიწები, სტრატეგიული ობიექტები, ჩამოასახლეს უცხოელები და ამ შემზარავ ფაქტს ჯერჯერობით სიღრმისეული ანალიზი არ ჩატარებია. დაქცეული ქვეყანა ჩავიბარეთო, აცხადებენ სააკისტები. არავინ ეპასუხება, რატომ დაიქცა ქვეყანა. სამოქალაქო ომმა გააპარტახა იგი. რამ გამოიწვია სამოქალაქო ომი, სხვა თემაა და მცირე მოცულობის სტატია ამის საშუალებას არ იძლევა. ქვეყნის დაქცევაში ლომის წილი მიუძღვით სწორედ სააკაშვილს და მის მომხრეებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ცხოვრების ყველა სფეროში საბოტაჟს ეწეოდნენ. ამჟამად კვლავ გაიხსენეს ძველი მეთოდი, რასაც ქართველი ხალხი სათანადოდ ვერ აღიქვამს.

სააკაშვილის და მისი მომხრეებისათვის უცხო ხილია საკითხისადმი იდეური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიდგომა, ამიტომაც ღობე-ყორეს ეხლებიან, რამაც ქართული სახელმწიფოებრიობა ძლიერ შეარყია.

განა ერის წინაშე უდიდესი დანაშაული არ არის ქუთაისში პარლამენტის გადატანა? ვისაც უახლეს ისტორიასთან ოდნავ შეხება მაინც აქვს, მას არ გაუჭირდება იმის გაცნობიერება, რომ სააკაშვილმა ოცნება აუხდინა ქართველების არაკეთილმოსურნეებს ქუთაისში პარლამენტის გადატანით. ასევე ერის წინაშე დანაშაულის ტოლფასია კოდორის ხეობაში ქართული ჯარის შეყვანა. აფხაზები ეგუებოდნენ ამ ხეობის საქართველოს ფარგლებში დე ფაქტოდ ყოფნას, ხოლო სააკაშვილმა მეტი მონდომა და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ — ამ ფაქტმა ისინი ძლიერ აღაშფოთა და შესაფერის დროს ელოდნენ კოდორის ხეობის დასაბრუნებლად. ეს დროც მალე დადგა და ყველაფერი ჩვენ საზიანოდ გადაწყდა.

დღემდე იმაზე მიდის კამათი, ვინ დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი — სააკაშვილმა თუ კრემლის მესვეურებმა. რასაკვირველია, სააკაშვილს ომი რუსეთის წინააღმდეგ არ დაუწყია, ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ დაიწყო.

ქართველების არაკეთილმოსურნე ძალებს სურთ, არ დაუშვან რუსეთსა და საქართველოს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ამ მიზნით ეს ძალები რუს გენერლებს შთააგონებდნენ, — ისე დაეჭირათ თავი სააკაშვილის წინაშე, რომ საქართველო-ოსეთის კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერეოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსი გენერლები ყოველივე ამას უანგაროდ არ გააკეთებდნენ — სანაცვლოდ გასამრჯელოს აიღებდნენ ... და ზემოხსენებული ძალების მიერ დაგებულ ხაფანგში სააკაშვილი ორივე ფეხით გაება. აკი აღტკინებულმა სააკაშვილმა ომის პირველ დღეებში განაცხადა: **„სულ მალე სამაჩაბლო საქართველოს ფარგლებში მოექცევა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ კონფლიქტში რუსეთი ნეიტრალიტეტის იჭერს“.** თუ ამ განაცხადში ვინმეს ეჭვი შეეპარება, გაუშვან სატელევიზიო ჩანაწერების მაშინდელი ფირები და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

აღარაფერს ვამბობთ სააკაშვილისა და მისი მომხრეების ვანდალურ ქცევებზე, რამაც ქართველ ხალხს დიდი მორალური და ფიზიკური დარტყმა მიაყენა.

პოლიტიკურად სააკაშვილისა და მისი მომხრეების მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია. ისინი წლების განმავლობაში ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ. ახლა ყველაფერი ეს იურიდიულად უნდა გაფორმდეს და ქვეყნის დამაქცევრებს სათანადოდ მიეზღოთ.

ყველა ძლიერ ცდება, ვინც პარლამენტის ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს. სანამ სააკაშვილის რეჟიმის სრული ამოძირკვა არ მოხდება, მანამ ყოველგვარი არჩევნების ჩატარება დადებით შედეგს არ გამოიღებს. მერწმუნეთ, ვადამდელ არჩევნებში საზღვარგარეთის ზოგი პოლიტიკური წრეების დახმარებით, სააკისტები გარკვეული ოდენობის მანდატს მიიღებენ. ასევე ისინიც ძლიერ ცდებიან, ვინც უმოკლეს დროში ეკონომიკაში რადიკალურ ცვლილებას მოითხოვენ. თუმცა, ამ მხრივ გარკვეული მიღწევები სახეზე გვაქვს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა სოფლის მეურნეობაში.

სააკაშვილის რეჟიმის სრული ამოძირკვის შემდეგ, დაწყნარებულ გულზე ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებაც ვიმსჯელებთ და რეალობისათვის შესატყვის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფორმაციასაც შევიმუშავებთ, ხოლო ქართველი ხალხი იმ პოლიტიკურ პარტიას დაუჭერს მხარს, რომელიც ზემოხსენებული ფორმაციის შემუშავებაში წვლილს შეიტანს და პრაქტიკაში განახორციელებს. ასეთ ვითარებაში საზღვარგარეთი ნორმალურ ურთიერთობაზეც კი თანახმა იქნება, ნაცვლად არსებული ვასალური ურთიერთობისა.

**ყველა ერი თავის ბედს თვითონვე ქმნის. ჩვენი ყველა ქმედება ამ ჭეშმარიტებიდან უნდა გამომდინარეობდეს.**

**ვაჟა ჟღენტი,**
**საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.**



# „მალე დადგება მდინარე პომადიანი ბიჭების“...

**არა, ჩემო მკითხველო! ბატონ რეზო ამაშუკელის პოეზიის რეცენზირებას არ ვაპირებ — მხოლოდ წერილის სათაურად შევარჩიე პოეტის სტრიქონი, რადგან ჯერ კიდევ როდის, 2001 წელს წერდა ის იმ ჭირზე, რაც დღესა გვჭირს და რეალურად გვემუქრება...**

**ამას წინათ ერთმა მეგობარმა გამაფრთხილა, იმდენად ხშირად წერ პედერასტებზე, რომ ემანდ, არ გამარგინალდეო!?**

**მე ვწერ, თუ მაგ ლგბტ-თემს და მის დამქაშებს არ ასვენებთ გამჩენი? — ლამის დღე არ გაივლის, შინ თუ გარედან „მეზობლის კურდღელივით“ არ შემოგვივარდნენ ლაჯებში ქართველებს და მაშ რა ვქნა, გავჩუმდე, პასუხი არ გავცე? კაცი ისე დავბერდი, მაგათი დედები არასოდეს „მომიკითხავს“, რადგან ჩემი ჯეელობისას საკუთარი ადგილი იცოდნენ. ჰოდა, მე კი არ ვწერ, ლგბტ-პედერასტები „აუტანიათ წერას“ და ავი ენით (სიძულვილის ენადაც რომ უხმობენ) ეგენი მაწერინებენ და უკეთეს ტონალობას, სიყვარულ-კოჰაბიტაციას, დედალ-მამალი სოდომისტები ჩემგან ვერ ეღირსებიან — „საია-მაია“, „გამჭვირვალ-დაბურული“ „იდენტობა“ იქნება თუ სხვა, ანუ, გინდაც მთელი მაგათი მაღალი „ენჯეოშნიკობა“ თავს დამესხას, როგორც აბელ არავიძეს, მაინც ამოვთხრი!**

**მეორე კვირაა მიზეზთა გამო „სუსპი არ გამიღია“ და ამ დროის მანძილზე შინ თუ გარეთ, მეზობლის რამდენი კურდღელი გამოხტებოდა? ჰოდა, მეც ყველას ერთად ამოვკრავ ჭიტლაყს. რა თქმა უნდა, „დიდ პოლიტიკასაც“ შევეხები, რადგან სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე, ძნელი დასადგენია. უფრო სწორად, პირველი მეორეს გარეშე არ არსებობს, რადგან ლგბტ-თემის ტოტალური შეტევა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დიდი პოლიტიკაა, რომელიც წალეკვას უქადის პლანეტის ცივილიზაციას!**

ზემოთ „იდენტობა“ სიტყვამ მოიტანა და აი, რას გვპირდება „ჩვენი იდენტობა“:

**თბილისი. „იდენტობა“ მომავალი სასწავლო წლიდან სტუდენტებისთვის ახალ პროექტს ამზადებს. პროექტი — „ლგბტ მგრძნობელობის ამაღლება სტუდენტებში“ 20 000 აშშ დოლარით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. პროექტის მიზანია, იმ სტუდენტებში, რომელთა პროფესიაც მოიცავს ლგბტ ადამიანებთან ურთიერთობას, ლგბტ საკითხებში ცოდნის დონისა და მგრძნობელობის ამაღლება. პროექტი ითვალისწინებს ხუთი პროფესიის სტუდენტებთან (ფსიქოლოგია, სამართალი, სოციალური სამუშაო, სამედიცინო, ჟურნალისტიკა) ინტენსიურ, სპეციფიკურად პროფესიულ ტრეინინგ-მუშაობას. გათვალისწინებულია ინტენსიური ლიდერთა სკოლა — 5-დღიანი ტრენინგები. პროექტი გულისხმობს სტუდენტებთან საჯარო შეხვედრებსა და ლექციებს, სადაც განხილული იქნება მათი პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებლად საჭირო გენდერისა და სექსუალობის საფუძვლები.**

მაშ, რა არის ეს, თუ არა ზოგადად დასავლელი „მეგობრების“ და კონკრეტულად აშშ-ის „უანგარო მზრუნველობის“ კიდევ ერთი ნიმუში — ჯერ ნაცებთან კოჰაბიტაცია „შემოგვტენეს“, რამაც ლამის ააფეთქოს ქართველი საზოგადოება და ახლა პედერასტებთან კოჰაბიტაციასაც გვიფინანსებენ. მართალია, ჯერ მხოლოდ „მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში“, მაგრამ „უკეთესი მომავლის“ პერსპექტივით — ამერიკის საელჩო ფულზე უკან არ დაიხევს! მთავარია, „ლგბტ საკითხებში ცოდნის დონისა და მგრძნობელობის ამაღლებაში“ მეცადინეობა არ დაიზარონ ჩვენმა შვილებმა და უკანალების მგრძნობელობის (საკუთარის თუ პარტნიორის, სულერთია, რადგან „დედალ-მამალი“ არ არის არსებითი — ქათამი ქათამია) ტესტი ჩააბარონ!

რა ვიცი, სხვას რას უნდა გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული „ინტენსიური ლიდერთა სკოლა, ხუთდღიანი ტრენინგები“ — რამე სჯობს, აშშ-ის საელჩოს დოლარებით, სადმე ბაზალეთზე, ან გუდაურში (წელიწადის დროს გააჩნია, რაა.) უკანალების „მგრძნობელობის ამაღლებაში“ ტრენინგ-წვრთნებს და ამ გზით ნატო-ევროპაში შესვლას, ანუ ოცნებას საქართველოს „ნათელ მომავალზე“?

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სასწავლო წლის ბოლოს, მაისში:

**„ჩატარდება აკადემიური კონფერენცია ლგბტ საკითხებში, სადაც მონაწილეობას მიიღებს 15-20 სტუდენტი. ისინი შექმნიან აკადემიურ ნაშრომებს იმ სფეროებში, რომელშიც ტრეინინგები გაიარეს“.**

და, რომ იტყვიან ავშენდითო, ისეა ჩვენი საქმე — ქართველთა ნიჭიერება ხომ საქვეყნოდ ცნობილია და 15-20 სტუდენტის შექმნილმა აკადემიურმა ნაშრომებმა, „იმ სფეროებში, რომლებშიც ტრენინგები გაიარეს“, შეიძლება დისერტაციებზეც გაქაჩონ და ლგბტ „უკლონით“ 15-20 ჯეელი პროფესორიც გვეყოლება...

ვითომ ეს „ჩვენი იდენტობა“ არ მეყოფოდა, მე კიდევ გაგიჟება მინდოდა? ერთმა ფეისბუქელმა მეგობარმა გალინა ცარიოვას 3-საათიანი დოკუმენტური ფილმი „падение запада“ გადმომიგორა. **სულო ცოდვილო, თავიდან გავიფიქრე, 3-საათი რა მაყურებინებს ამას-მეთქი, მაგრამ ჩავრთე და თვალი ვერ მოვწყვიტე!..**

მოკლედ თუ ვიტყვით, შოკირებული, მაგრამ იმედიანად შოკირებული ვარ ფილმისგან! თუ რატომ იმედიანად, ამაზე ქვემოთ...

ნამდვილად არ მეგონა, თუ მსოფლიო პედერასტიზაცია აგრე საფუძვლიანად გადმოსულა ტოტალურ შეტევაზე. თავი დავანებოთ იმას, რომ ერთსქესიანი ქორწინებების დამკანონებელი სახელმწიფოების რიცხვი ლამის დღითი დღე მატულობს — ეს ზედაპირზე დევს!

**ფილმის მიხედვით, რომელსაც რომ არ დავუჯერო, არავითარი საფუძველი არ მაქვს, „განათლებულ დასავლეთში“ პრაქტიკულად აღარ არსებობს ისეთი ცნებები, ტერმინები, როგორიც არის დედა, მამა, ქალი, კაცი, ცოლი, ქმარი და ა.შ. თუმცა, რაღა ასე შემდეგ, საკმარისი არ არის?**

რაც მთავარია, ამ ყველაფერს ევროპელ ბავშვებს ბაგა-ბაღებიდანვე აჩვევენ, რასაც საკანონმდებლო „ზურგს“ გაეროს და უმეტესად ევროპარლამენტის რეზოლუციები და დადგენილებები უმაგრებენ. ევროპის კი არა, მსოფლიოს უპირობო ლიდერი პედერასტული განხრით ზოგადად სკანდინავია და კონკრეტულად ნორვეგიაა. **ოდესღაც ვაჟკაცი ვიკინგების ქვეყანაში, მთავარი დღესასწაული ლგბტ აღლუმების კვირეული თუ თვიური ყოფილა.** ოსლოშივეა, დისნეილენდის პედერასტული ვარიანტი, რომელიც ტურისტების ურიცხვ რაოდენობას იზიდავს და სადაც, სასქესო ორგანოების „დიზაინით“ მოწყობილ ატრაქციონებზე, სიამოვნებით „აკატავებენ“ საკუთარ შვილებს ვიკინგების გაპედერასტებული შთამომავლები. **ამ ყველაფრის, ანუ „პედერლენდის“ გვირგვინი კი, უზარმაზარი ფალოსის მონუმენტია, რომელიც ვიზუალურად საოცრად გავს (!!!) ჩვენთან, გმირთა მოედანზე აღმართულ მონუმენტს, რომელსაც ხალხმა სააკაშვილის ავტოპორტრეტი შეარქვა!..**

დანარჩენი დასავლეთისგან განსხვავებით, ნორვეგიაში ე.წ. სექსუალური უმცირესობები ფორმალურადაც უმრავლესობაა, დიდი ხანია. აქედან გამომდინარე, პედერასტებით არის გაჯერებული ქვეყნის ყველა დონის ხელისუფლებაც!



ფორმალურად ჯერ თუ ვერა, რეალურად იგივე სურათია ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში — არც იქაურ ხელისუფლებებში უჩივიან პედერასტების ნაკლებობას: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ბერლინის, პარიზის, ციურიხის მერები. ეს გაცხადებული და ხომ წარმოგიდგენიათ რამდენი ფარული ქათამი ეყოლებათ ევროპაში?

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ბოლო დროს, საქართველოში აშკარად მომძლავრდა პედერასტული ლობი, ამოცანა გვეკითხება, რამდენი ფარული პედერასტია (აშკარად აღიარებას ჯერ ვერ ბედავენ, რაც არ უნდა იყოს „ქართველები არიან“) საქართველოს ხელისუფლებაში თუ ხელისუფლებასთან კოჰაბიტაციაში მყოფ, „მთავარ ოპოზიცია“ ნაცებში, გნებავთ სოროსის ქართულ ენჯეოებში?

ერთი შეხედვით, ამ მარტივ კითხვაზე პასუხს, ალბათ, ვერ მივიღებთ, რადგან პასუხები სამეგრელოში აღმოჩენილ იმ 12 ათას ფაილშია საძებნი, რომელთა განადგურებასაც (???) გაშმაგებით ითხოვენ მავანნი!

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა და მთავარს დავუბრუნდეთ...

აბა 3-საათიან ფილმს რა მოყვება და ამიტომ საკვანძო საკითხებზე შევჩერდეთ:

**სოდომის მაფია** — ძნელია, არ დაეთანხმო ფილმში მიგნებულ განსაზღვრებას, ერთი შეხედვით უწყინარი ლგბტ მოძრაობის მიმართ!

დიახ, სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა არაფერ შუაშია — სოდომის მაფია აგრესიული ფორმებით იბრძვის მსოფლიო ბატონობისთვის, გნებავთ, როგორც ფილმშია „новый мировой педонорядок“, რასაც მნიშვნელოვან წილად უკვე მიაღწიეს კიდეც. ისევ ფილმს თუ დავესესხებით, **ადამიანი 4 ძირითადი მიმართულებით ახდენს საკუთარი მეს იდენტიფიკაციას: პირველი, დაბადებიდანვე ეძლევა სქესი, რის გაცნობიერებასაც ბავშვი 4-5 წლის ასაკიდან იწყებს; მეორე, ასევე ღვთით ბოძებული ეროვნება, რომლითაც ჯანსაღ სიამაყეს თუ სიამოვნებას 14-15 წლიდან იწყებს მოზარდი; მესამე, პოლიტიკური იდენტობა, წითლები თუ თეთრები, მემარცხენეობა, მემარჯვენეობა, ან საერთოდ აპოლიტიკურობა, რაც ასევე პოლიტიკური პოზიციაა და მეოთხე და უმთავრესი, თუ არა, ეროვნება—სქესზე არანაკლებ მნიშვნელოვანი — რელიგიური მრწამსი...**

**ბოლო სამი იდენტობა ასე თუ ისე კონტროლირებადია სოდომის მაფიის მიერ — ეროვნულობა პრაქტიკულად ნიველირებულია ევროპაში. ეს რომ ასეა იქ, კარგად იგრძნობა აქ — გავიხსენოთ, ქსენოფობიის სარჩულით, რა დღე დააწიეს დასავლეთიდან მართულმა ენჯეოებმა მინისტრობის კანდიდატ დარახველიძეს მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და თქვა, ქართველი ქალი მინდა რძლადო. რობიკო სტურუა იმის გამო მოხსნეს, რომ ქართველი პრეზიდენტი მინდაო. აღარაფერს ვიტყვი საქართველოს პარლამენტში სომხური ლობის ინიციატივით ეროვნების გრაფის გაუქმებაზე, რასაც შეეწირა კიდეც გურამ შარაძე.**

**პოლიტიკური მიმართულებით ხომ დიდი ხანია არანაირი პრობლემა არა აქვთ — ევროპარლამენტში გაცხადებული თუ ინკოგნიტო პედერასტი დეპუტატებიც ბლომად არიან და საერთოდ, უდიდესი ლიბერალური ფრაქცია დგას ლგბტ-პედერასტების სიმშვიდის სადარაჯოზე ევროპაში!**

**რაც შეეხება რელიგიას, კათოლიკურ, ლუთერანულ თუ ანგლიკანურ ეკლესიებში მასობრივი პედოფილიის ფაქტებმა, რომელშიც უმაღლესი იერარქები იყვნენ ჩართულნი, მთელი დასავლეთი აღაშფოთა და საშვილიშვილოდ დასცა დასავლური საქრისტიანო სახლების ავტორიტეტი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი მღვდელმთავარი ჰყავთ დაშანტაჟებული და ამიტომ მართულიც. აქედან გამომდინარეც არის ალბათ, რომ შვედეთის ლუთერანულ ეკლესიაში ლესბოსელი მღვდლებიც ჰყავთ და ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერაც ხდება.**

ერთადერთი, რასაც ბოლომდე ვერ აკონტროლებდნენ, ეს ადრეული ასაკის ბავშვების სწორად, ანუ ბიჭის ბიჭად და ქალის ქალად აღზრდა იყო ტრადიციული ღირებულებების მატარებელი მშობლების მიერ და, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ამ საქმის მიხედვაც დაიწყეს სოდომ-მაფიოზებმა — საბავშვო ბაღებიდანვე იკრძალება ბავშვებთან ქალის, კაცის ხსენება, რათა პატარებს „თავისუფალი არჩევანი“ ჰქონდეთ, ანუ, რომ გაიზრდებიან თავად გადაწყვეტენ, კაცები იქნებიან თუ ქალები, რასაც ხელს ევროპარლამენტიც უწყობთ შესაბამისი განათლების „რეფორმით“: მიმდინარეობს ნორვეგიის ექსპერიმენტის გადმოღება, დანარჩენ ევროპაშიც, ევროსაბჭოს დადგენილებით, ევროკავშირის უმეტესმა ქვეყნებმა გაიზიარეს დირექტივა და საბავშვო ლიტერატურიდან უნდა ამოიღონ ტრადიციული ზღაპრები, სადაც ქალს კაცი უყვარს და პრინცესას — პრინცი, ანუ ისეთი „დრომოჭმული სისულელეები“, როგორებიცაა „ფიფქია და 7 ჯუჯა“, „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“ და ა.შ. თანამედროვე, უსქესო კომიქს-ზღაპრებით უსქესო სათამაშოებით უნდა შეუცვალონ პატარებს, სადაც ილუსტრაციებში ეშმაკი ვერ მიხვდება, ვინ რა სქესისაა ნახატზე და სადაც პრინცესას — დედოფალი, პრინცს მეფე უყვარდება. მკაცრად იკრძალება სკოლა-ბაღებში ბავშვებისათვის სქესის აღმნიშვნელი მიმართვა ( რუსულში „ონ, ანა“ რომ არის, მაგის მსგავსი), ბიჭებს, გოგონებივით ჩამჯდარს აფსმევინებენ, „გენდერული თანასწორობის“ დასამკვიდრებლად და უსქესო მიმართვის ტერმინი „ხელ“-იც მოუგონიათ, რომლითაც, როგორც წესი, მიმართავენ ერთმანეთს ლგბტ-პედერასტები და ა.შ.

**ერთი შეხედვით აბსურდია, არა? მაგრამ რეალობა ყოფილა!..**

ერთი სიტყვით, ბავშვების აღზრდის მშობლების კონტროლიდან, სურვილებიდან, გნებავთ გემოვნებიდან მაქსიმალური გამიჯვნა, საბოლოო ჯამში, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის დანგრევას ისახავს მიზნად და მის ჩანაცვლებას „პროგრესული“ ერთსქესიანი ოჯახებით, სადაც დედა და მამა კი არა, მშობელი **1,** მშობელი **2,** ან „უკეთეს შემთხვევაში“, რასაც ფრანგებმა მიაღწიეს, **ა/** და **ბ/** „აღზრდიან“ პატარებს...

**ტრადიციული ოჯახია ერთადერთი დაბრკოლება პედერასტების საოცნებო, უსქესო, უეროვნებო, ურელიგიო საზოგადოების შექმნისკენ მიმავალ გზაზე!**

ე.წ. შოუბიზნესში ხომ საერთოდ, ათწლეულებია პიდარმაფიოზები განაგებენ ყველაფერს, რამაც კინემატოგრაფშიც გაიდგა ფესვები, რისი დასტურიც ბოლო 2 ფესტივალია — კანში, ლესბოსელების, ხოლო მოსკოვში გეების „სიყვარულის დრამაზე“, შესაბამისი ეროტიკული კადრებით გადაღებულმა ფილმებმა აიღეს პრიზები — პირველმა საერთოდ „ოქროს პალმის რტოს“ გრანპრი, ხოლო მეორე ჯერჯერობით მხოლოდ ე.წ. მაყურებლის სიმპათიის პრიზს დააჯერეს!..

**ვისაც თვალი მოგიკრავთ მსგავსი „ეროტიკისთვის“, დამეთანხმებით, რომ კაცების „ზასაობაზე“ ამაზრზენი რამ არ არსებობს! არადა, ევროპის ტელევიზიებში არათუ თვალს მოკრავ, ყოველდღიური „აბეზალოვკაა“ მსგავსი სარეკლამო როლიკების ტრიალი — საინტერესოა, ჩვენი ტელევიზიებიდან, რომელი გარისკავს და პირველი გადმოიღებს დასავლეთის „მოწინავე გამოცდილებას“?..**

## ჯიგარი ხარ, ვალოდია, ჯიგარი!!!

**ანუ ახლა ზემოთ ხსენებული იმედის შესახებ...**

რუსი ავტორების გადაღებული ფილმი, უწინარესად, რუსი მაყურებლისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ჩვენთვისაც არანაკლებ აქტუალურია.

# აჩრდილი დადის ევროპაში...

ბარაკ ობამას, ჰილარი კლინტონის ავადმყოფური მხარდაჭერა მსოფლიო გეიმოძრაობის მიმართ, ცნობილი ამბავია, მაგრამ ფილმში არის ეპიზოდი, რომელიც აღნიშვნის ღირსია.

**ბარაკ ობამა: „პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წინ გადავდგა ნაბიჯი და განვაცხადო, რომ მე აუცილებლად მიმაჩნია, ერთსქესიან წყვილებს ქორწინების უფლება მივცეთ“...**

(რაღა შენ, ბარაკ, და რაღა „ჩვენი“ ლია მუხაშავრია).

აი ასე, რომ იტყვიან, წერტილი და მძიმე – მართალია, პირველი ქვეყანა, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინებები „შორეულ“ 1989 წელს დააკანონა, დანია იყო, მაგრამ გეიუბედურების სათავე, მაინც ამერიკაა – 1968 წელს აშშ-ში დაარსდა ე.წ. რომის კლუბი, რომელში შემავალი 100 წევრი მილიარდერი კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს განვითარების სტრატეგია-მიმართულებებს. ერთ-ერთი პირველი მოხსენება, რომელიც მსოფლიოს ბატონ–პატრონებმა გაასაჯაროვეს, ე.წ. „გამრავლების საზღვრები“ იყო, სადაც ჩამოყალიბდა ავადსახსენებელი „ოქროს მილიარდის“ თეორია – ეს იყო 1972 წელს.

ერთი წლის შემდეგ კი, ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ, ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობათა სიიდან ამოიღო. ამერიკაში გამარჯვების შემდეგ პედერასტებმა აქტიური პროპაგანდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყეს და 1992 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამაც ამოიღო ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობების სიიდან და აქედან დაიწყო ცისფერების ტრიუმფალური სვლა მთელს მსოფლიოში!

ამ დროს იყო, რომ რუსეთის ფარჩაკმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გააუქმა სტატია, რომელიც მამათმავლობისთვის 5 წელ ციხეს ითვალისწინებდა. ხოლო, დღეს, როდესაც სანკტპეტერბურგელი დეპუტატი ვიტალი მელონოვი ინიციატივით გამოვიდა მოზარდებში გეიპროპაგანდის აკრძალვის შესახებ, მთელი გეიტრანსნაციონალური სინდიკატი აიფოფრა!

მათ შორის მადამ ჰილარი კლინტონი, რომლის აზრითაც გეების უფლებები დემოკრატიის უმაღლესი გამოვლინებაა!..

დღეს კი, რუსეთს, რომელიც ტრადიციული ღირებულებების მიმდევარია, აქტიურად ექაჩებიან მსოფლიო გეითანამეგობრობაში – გულისტკივილით აღნიშნავს ფილმის წამყვანი...

**ნაცნობი სურათია, არა, მკითხველო? ჩვენც იმავე კი არა, უარეს დღეში ვართ, რადგან რუსეთს, ჩვენგან განსხვავებით, ვაჟკაცი (მუჟიკი) პრეზიდენტი ჰყავს და დიახაც, მე მშურს მათი!**

გაიხსენეთ, 17 მაისის შემდეგ, ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის, უკეთეს შემთხვევაში, ენის მოჩლექვა და უარესში კუდის ქიცინი შტეფან ფულეს და განსაკუთრებით, ანდრეს ფოგ რასმუსენის წინაშე, რომელმაც ჯერ 17 მაისი „ჩაიხვია“, თანაც ისე, რომ არც 7 ნოემბერი და 26 მაისი გახსენებია და შემდეგ, ავღანეთი ნატოს ბილეთი არ არისო! საერთოდ საფლავში ჩააფურთხა დაღუპულ ბიჭებს და სულში – ცოცხლად დარჩენილ ქართველ საზოგადოებას!

იმის მაგივრად, რომ „მაღალი სტუმრისთვის“ დავიწყებული შეეხსენებინა, ბატონმა ბიძინამ 17 მაისის „დარბევის“ მონაწილეთა უპირობო დასჯა აღუთქვა და საერთოდაც, პრემიერი ეკითხებიან თუ არა, მომენტს არ უშვებს, რომ სექსუალური უმცირესობები არ შეგვავედროს კოჰაბიტაციით ისედაც შელონებულ ქართველ საზოგადოებას. კოჰაბიტაციით, რომელმაც ურეკის „საიდუმლო სერობის“ შემდეგ ისეთი აშკარად მახინჯი ფორმები მიიღო, რომ ზემოთ ხსენებულ პედერასტების ამაზრზენ „ზასაობას“ დაემსგავსა...

**სიტყვამ მოიტანა და, ურეკში, ტრიუმვირატის შეხვედრაზე, ჩემი ინფორმაციით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე შედეგი ნაცმოს კანდიდატმა, უდღეურმა დავით ბაქრაძემ უნდა აჩვენოს, რაც სადისტი ნაცების საბოლოო და შეუქცევადი რეაბილიტაცია იქნება, რასაც ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ შეთქმულების კვალიფიკაციას მისცემს და გახსოვდეთ ეგვიპტის ტახრირი, ოცნება-ნაცისტებო, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გაცურებას, სულში ჩაფურთხებას ვეღარავის აპატიებს, მათ შორის თქვენც, ბატონო ბიძინა!**

მანამდე კი, ბატონო ბიძინა, რადგან თქვენი სიმპათიები პედერასტების მიმართ გასაგებია, ქართველ საზოგადოებას, დარწმუნებული ვარ, აინტერესებს, რამდენად შორს მიმავალია თქვენი „ტოლერანტობა“ პედერასტების მიმართ? ერთხელ კი ბრძანეთ, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად ერთსქესიანი ქორწინებებისთვისო და რას ნიშნავს ეს, ამერიკის საელჩოსავით, „უკანალების მგრძნობელობის ასამაღლებლად“ ტრენინგებს ჩაგვიტარებთ (რაც, დამერწმუნეთ, „ფუჭი გასროლა“ იქნება), თუ, როცა კატეგორიულად დაგვიყენებენ (არადა, დაგვიყენებენ, რადგან ნატო და ევროპა, უკანალის „მგრძნობელობის ამაღლების“ გარეშე, არ გამოვა. თუმცა, ჩვენთვის არც მაგით გამოვა, დაგვიყენებენ და ვიქნებით „დაყენებულები“) თქვენი დასავლელი მეგობრები ერთსქესიანი ქორწინებების საკითხს, **რას იზამთ, პედერასტული ნატო-ევროპის ხათრით ხელებს გადაგვიგრიხავთ თუ იძალებს თქვენში ზემო იმერეთის მადლიანი, რაინდული გენი და რუსეთის ვაჟკაცი პრეზიდენტივით „ადგილზე მოსვამთ“ შტეფან ფულე-რასმუსენებს?**

ნოდარ დუმბაძეს ერთი პერსონაჟის პერიფრაზით, როგორია ვითარება „ოკუპანტ რუსეთში“? რა თქმა უნდა, პირიქით!

რუსეთის დასავლელი „პარტნიორები“ მომენტს არ უშვებენ, რომ ვლადიმერ პუტინი პედერასტული თემით არ „გატისკონ“, გვიდო ვესტერველემ (პედერასტმა), ლამის ომი გამოუცხადოს გეების „მჩაგვრელ რუსეთს“, მაგრამ ისეთ სუსხიან პასუხებს ღებულობენ რუსეთის პრეზიდენტისგან, რომ შეკითხვების კი არა, ლაპარაკის ხალისს კარგავენ პედერასტების მფარველი ოპონენტები. მე კი, გულში ვიძახი – ვალოდია, ჯიგარი ხარ, ჯიგარი!

რატომ? არა მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნულ საქციელს ვუწონებ, არამედ ზემოთ ხსენებულ იმედს რუსეთში ვხედავ!

ხსენებული ფილმი მართალია რუსული რაკურსით არის გადაღებული, მაგრამ ფაქტები ხომ ობიექტურია? აქედან გამომდინარე, ჩვენთვის სასურველი რაკურსიც შეიძლება დავიჭიროთ...

ფილმის ავტორთა აზრით, მთავარი წინაღობვა მსოფლიო სოდომიზაციის გზაზე ისლამი და მართლმადიდებლობაა! ისლამი თავისთავს მიხედავს და ჩვენ, ჩვენი ვიკითხოთ...

**რუსეთი უკანასკნელი კუნძულია პედერასტობის ოკეანეშიო! ამაში კი ვერ დავეთანხმები ფილმის ავტორებს, რადგან, საბედნიეროდ, რუსეთი უკანასკნელი კუნძული კი არა, უზარმაზარი მატერიკია და თანაც მართლმადიდებლური და „თანაც“ ბირთვული. კუნძული კი, საქართველოა...**

200 წლის წინანდელი ისტორია მეორდება, ოღონდ ერთი „უმნიშვნელო“ სხვაობით: თუ ორი საუკუნის წინათ საქართველოს მართლმადიდებელი კუნძული ისლამის ოკეანეში იხრჩობოდა, ახლა იგივე კუნძულს პედერასტიის ოკეანეში ჩაძირვა ემუქრება. და როგორც ადრე, საქართველოს ერთადერთ მშველელად ისევ რუსეთი მოჩანს. კიდევ ერთი „უმნიშვნელო“ სხვაობა – თუ მაშინ რუსეთი მხოლოდ ჩვენ გვჭირდებოდა და პირიქით, ნაკლებად (იმიტომაც ხომ არ გვქვია გრუზია, ანუ ტვირთი?), ახლა რუსეთსაც არანაკლებ ვჭირდებით, როგორც ერთმორწმუნე და აქედან სოდომის მაფიასთან ბრძოლაში უღალატო თანამებრძოლი. რასაც, როგორც ჩანს, რუსეთშიც აცნობიერებენ ნელ-ნელა. სხვანაირად ხსენებულ ფილმში ვრცელ პასაჟს არ დაუთმობდნენ საქართველოში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებს – **ის შთამბეჭდავი კადრები აჩვენეს, სადაც სოდომისტების წინააღმდეგ პირველ რიგებში ასობით სამღვდელო პირი ჩანს და ერთგვარი დანანებით კითხულობს წამყვანი – „А где наше духовенство“, რაც ჩვენი დედაეკლესიის არა მხოლოდ შიდა, არამედ ქვეყნის გარე ავტორიტეტის აღიარებაც არის!**

სავარაუდოდ, რუსეთის ერიც და ბერიც, ბოლოს და ბოლოს, შეისმენს მათი დიდი წმინდანი სერაფიმ საროველის ანდერძს, რომ ვინც ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ებრძვის, დედა ღვთისასაც ებრძვის, შეისმინეს ჩვენი მეუფე იობის შეგონებას, რომ საქართველოს ხსნა, მართლმადიდებელ ერთა, ანუ იგივე რუსეთთან კავშირშია, ამ სალი აზრის რეალიზაციის კონტურებიც გამოჩნდება!

ახლა ვიცი, აღნავლდებიან ე.წ. არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტები: რუსეთის აგენტი, საქართველოს ისტორიული ჩრდილო ატლანტიკური არჩევანი და ა.შ. ჰოდა, ილნავლონ, მაგათი, მით უმეტეს არასამთავრობოების ვიშვიში, უკაცრავდ და ფეხებზე მკიდია, რადგან ეგენი კლასიკური V კოლონაა საქართველოში! ეგეც არ იყოს, ახლა ნახევარტონებში საუბრის დრო არ არის და პირდაპირ ვაცხადებ – ჩვენი მენტალური გადარჩენა, მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად! ამას დაუმატეთ ისიც, რომ თუ აფხაზეთ-ცხინვალი 100 წლის მერე მაინც გვინდა, რუსების გარეშე ეგეც უტოპიაა. თუმცა, რუსებთან ერთადაც იოლი არ იქნება, რადგან ჯერ მიმზიდველი უნდა გახდე აფხაზ-ოსებისთვის, რაც ბიძინა ივანიშვილსაც არაერთხელ უთქვამს.

ჰოდა, ჩემმა მზემ, ერთსქესიანი ქორწინებებით მაგარი მიმზიდველები გავხდებით!

**ისე, ეგ თუ მოხდა საქართველოში, ჭირსაც წაუღია აფხაზეთიც, ცხინვალიც და დანარჩენი საქართველოც, რადგან საქართველო, ქართველობა, პირველ რიგში ეთნიკურობა კი არა, ფილოსოფია, ცხოვრების წესია და გაპედერასტებულ საქართველოს ჩემი „წყევლის“ გარეშეც დასჯის, როგორც საკუთარ წილხვედრს, მარიამ ღვთისმშობელი!**

ვინმეს იქნება ჰგონია, რამეს ვაჭარბებ? ამიტომ „იუთუბიზე“ ნახეთ ის ფილმი და დაინახავთ, რომ კი არ ვაჭარბებ, დავაკელი კიდეც, რადგან არაფერი მითქვამს ერთსქესიანი ქორწინებებით ბედნიერ ქვეყნებს, სრული ბედნიერების გზაზე მიმავალთ შემდეგი ეტაპი დაუდგათ – პედოფილია-ინცესტის ლეგალიზაციაზე სერიოზული მსჯელობები მიდის ევროპარლამენტში და რომ ერთსქესიანი წყვილების მიერ ნაშვილები ბავშვების 1/3, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ანუ, პედოფილ „მშობლებს“, ამ განზრახვით აჰყავთ შვილები!

**და ბოლოს იმით დავამთავრებ, რითიც ის ფილმი იწყება:**

> **XIX საუკუნემდე ევროპაში მამათმავლობა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. მერე და მერე, პედერასტების ცალკეულ აფიშირებულ ეგზემპლარებს, სერიოზულად არავინ აღიქვამდა, ცოტანი არიანო და იქამდე მივედით, რომ დღეს ეს ცოტანი, დასავლეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში უმრავლესობები გახდნენ!**
>
> **აქედან გამომდინარე, ფილმის ავტორები ასკვნიან, რომ ლგბტ თემისთვის არაფრის დათმობა არ შეიძლება და რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებენ, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ რუსეთის, როგორც ტრადიციული ღირებულებების კუნძული, რაც არა მგონია, გაუჭირდეს ბირთვულ მართლმადიდებელ სახელმწიფოს!**
>
> **ჩემი მხრივ კი ე.წ. შავი სამყაროს გამონათქვამებს დავუმატებ იმაზე თანხმობის ნიშნად, რომ პედერასტებს არაფერი უნდა დავუთმოთ, რადგან ნათქვამია – „НАГЛЫЙ КАК ПЕДЕРАСТ“ და „НАГЛЕЕ ПИДОРА НЕТ НЕЧЕГО НА СВЕТЕ“ – იმედია რუსეთის აგენტობას მაკმარებენ და ქურდულ მენტალიტეტს არ მომაწერენ ამ სიბერეში ჩვენი ენჯეოები...**

**დავით მხეიძე**

---

**პრეზიდენტის ბინძური პროვოკაცია**

## სააკაშვილი 26 მაისის თემით სპეკულირებს

**„26 მაისს ამერიკული FBI-ს ჯგუფი იჯდა აქ, ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მიტინგის დაშლის ყველა ეტაპს ადევნებდა თვალს მონიტორებზე და ბოლოს დაწერა დასკვნა, რომ ყველაფერი იყო კანონიერი... ჩვენ არ გვაქვს სახელმწიფოს გამოცდილება. ვინაიდან ეს გამოცდილება არ გვაქვს, ჩვენ გვგონია, პოლიცია რომ გვაჩერებს ქუჩაში, ეს არის დაყაჩაღება, გვგონია, რომ წესების დარღვევაა. გვგონია, რომ მიტინგს თუ შლიან, ეს არის ბრუტალურობა და დიქტატურა“,** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სტუდენტებთან და ექსპერტებთან შეხვედრაზე.

სააკაშვილმა მიტინგების დაშლის თვალსაზრისით უცხოური ქვეყნების გამოცდილებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატურაა, მიტინგებამდე საქმე არ მიდის.

პრეზიდენტის ამ განცხადების საპასუხოდ, 26 მაისს დაზარალებულებმა საგანგებო განცხადება გააკეთეს და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდისგან სააკაშვილის ნათქვამთან დაკავშირებით პასუხი მოითხოვეს.

**„ეს განცხადება ჩვენთვის, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრებისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. სააკაშვილის ეს განცხადება ან მორიგ გამიზნულ ტყუილსა და საგანგებო დეზინფორმაციას წარმოადგენს, რაც მისგან უკვე დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებას აღარ უკვირს, ან საქმე გვაქვს მართლაც რომ საგანგაშო ვითარებასთან.**

**მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე, ძირითადად, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ მხოლოდ მავნებლობითაა დაკავებული, ახლა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორს – ამერიკის შეერთებულ შტატებს სდებს ბრალს 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციის დაგეგმვასა და ორგანიზებაში, რასაც ადამიანთა გარდაცვალება, აქციის ასობით მონაწილის დასახიჩრება, წამება, უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა მოჰყვა და აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და გამოძიება მიმდინარეობს“,** – ნათქვამია „სახალხო კრების“ განცხადებაში.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე მიიჩნევს, რომ 26 მაისთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩნდება კითხვები, რომლებსაც პასუხები უნდა გაეცეს, რომ ეს დღე საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად დარჩება და მსგავსი რამ არასოდეს უნდა განმეორდეს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი კი თვლის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში პრეზიდენტს ამ განცხადებაზე პასუხი უნდა მოსთხოვოს.

ამერიკის საელჩო პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს, ქართველ საზოგადოებაში კი სააკაშვილის ნათქვამმა სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია. კერძოდ, თუ პრეზიდენტის ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაამართლა, რაც, რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოების აღშფოთებას იწვევს, რადგან ამ დღეს ათობით ადამიანი დაზარალდა და იყო მსხვერპლიც. ამიტომ, საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ მიხეილ სააკაშვილმა ეს განცხადება შეგნებულად გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობაში ანტიამერიკული განწყობები გააღვივოს, შემდეგ კი დასავლეთს უმტკიცოს, რომ მისი გუნდის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ შეიცვალა საქართველოში განწყობები. ამიტომ, მხოლოდ „დემოკრატიის შუქურის“ ისევ ხელისუფლებაში დაბრუნება იქნება საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვის გარანტი. თუმცა, საზოგადოების დიდ ნაწილს მაინც არ სჯერა, რომ პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „ეფ-ბი-აი“-ს წარმომადგენლებმა 26 მაისის აქციის დარბევა გაამართლეს, სინამდვილეს ასახავს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი for.ge-სთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტის ამ განცხადების სხვა განცხადებასთან პარალელს ავლებს. კერძოდ, საუბარია სააკაშვილის იმ განცხადებაზე, როდესაც მისი თქმით, თითქოსდა, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ უთხრა, რომ ისინი როკის გვირაბის დაბომბვას აპირებდნენ და შემდეგ გადაიფიქრეს. გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება სააკაშვილის ნათქვამი „ეფ-ბი-აი“-სთან დაკავშირებით სინამდვილეს შეესაბამებოდეს და მას ამგვარი რაღაცები იმისთვის სჭირდება, რომ საქართველოს მოსახლეობა ამერიკის მიმართ უარყოფითად განაწყოს, შემდეგ კი ამერიკას უთხრას, რომ მხოლოდ ის არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს.

მეორე მხრივ, დეპუტატი არ გამორიცხავს არც იმას, რომ შესაძლოა, პრეზიდენტი უბრალოდ არ უფიქრდება, რას ლაპარაკობს და, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს.

იხ. 9 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ამშ-ში „ქართული ოცნების“ რუსული პოლიტიკა შეაფასეს

**ამერიკის შეერთებული შტატები პოზიტიურად აფასებს საქართველოს ახალი მთავრობის ძალისხმევას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში. თუმცა, იქ ითვალისწინებენ, რომ ეს საკითხი რთული იქნება. ამის შესახებ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ, როდესაც კომენტარს უკეთებდა ამერიკაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტის წინასწარ შედეგებს.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა მოლაპარაკების თავიანთი ნაწილი უკვე დაამთავრეს. შეხვედრებს ოკეანის გადაღმა აგრძელებს რამდენიმე დეპუტატი, რომლებსაც საქართველოს პარლამენტში საკვანძო პოზიციები უკავიათ.

ეს ვიზიტი „ქართული ოცნების“ კამპანიის ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ შენარჩუნებული მონოპოლიის გარღვევას დასავლეთში საქართველოს შინაპროცესებთან დაკავშირებით მმართველი კოალიციის საგარეოპოლიტიკური კურსის შესახებ. მმართველი კოალიცია მიზნად ისახავს საგარეოპოლიტიკურ კონტრშეტევას 2 მიმართულებით. ჯერ ერთი, თავიდან აიცილოს ბრალდება ეგრეთ წოდებულ შერჩევით მართლმსაჯულებაზე. მეორეც, დაადასტუროს დასავლური ინტეგრაციისაკენ მისწრაფება, მაგრამ ამავე დროს ახსნას რუსეთთან ურთიერთობაში კომპრომისების ძიების აუცილებლობა.

ჯერჯერობით კი 2004-2012 წლებში სააკაშვილისა და მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაწეული შრომა საშუალებას იძლევა უცხოეთში წარმოაჩინონ სხვა სურათი: აიო, ივანიშვილს მიჰყავს საქართველო რუსეთთან ჩასახუტებლადო, ხოლო მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელის ივანე მერაბიშვილის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ბაჩანა ახალაიას და პრეზიდენტის პარტიის სხვა ჩინოვნიკების დაპატიმრებანი განპირობებულია პოლიტიკური მოტივებითო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციამ 50-ზე მეტი შეხვედრა გამართა, მათ შორის სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან უილიამ ბერნსთან.

— ჩვენ მათ მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე, — თქვა თედო ჯაფარიძემ, — შეფასებები ერთობ დადებითი მივიღეთ, რითაც ძალიან კმაყოფილები ვართ. საქართველოში უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ხშირად უცხოელ კოლეგებთან ეს ინფორმაცია არ მიდის.

## დესანტი თბილისიდან შეეცადა, გაერღვია სააკაშვილის მონოპოლია დასავლეთთან დიალოგზე

პარლამენტარის სიტყვებით, ამერიკელებს აინტერესებდათ ასევე საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივები. ყველა გვეთანხმებოდა, რომ დიალოგი გათვლილია



ხანგრძლივ პოლიტიკაზე, რომელიც ემყარება რეალიზმსა და პრაგმატიზმს. ამავე დროს, როგორც ჯაფარიძემ აღნიშნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიესალმებიან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესებას, როგორც რეგიონალური სტაბილურობის საფუძველს.

ჩვენს მიერ საქართველოს დელეგაციაში მიღებული მონაცემებით, განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება შეხვედრას კონგრესმენ მაიკლ ტერნერთან, რომელმაც ივნისში განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მიერ პოლიტიკური ოპონენტების განხორციელებულმა დევნამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს თანამშრომლობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ საკითხებსა და უშიშროების სფეროში“.

თბილისს აშფოთებს, რომ ასეთმა პოზიციამ შეიძლება მოგვიანებით უარყოფითი გავლენა მოახდინოს თავდაცვის სფეროში საქართველოს მხარდაჭერის შესახებ სენატის ყოველწლიური აქტის მიღების პროცესზე. არ არის გამორიცხული, რომ ჯერჯერობით ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩენილი ქართველი კანონმდებლები მოახერხებენ განმეორებით შეხვედრას ტერნერთან და ზოგიერთ სხვა კონგრესმენთან, რათა საბოლოოდ დაარწმუნონ ისინი მერაბიშვილისა და ახალაიას საქმეებში პოლიტიკური შემადგენელი ნაწილის არარსებობის შესახებ.

— შეეცადო, მოახდინო გავლენა ამერიკის პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე საუბრებით იმის შესახებ, რომ მათ არ გააჩნიათ ყოველმხრივი ინფორმაცია, როგორც ამას „ქართული ოცნება“ ახორციელებს, პრიმიტიულია. ამერიკის შეერთებული შტატები აგროვებს ცნობებს სხვადასხვა ალტერნატიული წყაროებიდან, აი რატომაა, რომ იქ რეალურად არიან შეშფოთებულები მდგომარეობით საქართველოში, განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში დეპუტატმა — „ნაციონალმა“ ნუგზარ წიკლაურმა. — კრიტიკული „ტონალობა“ ქართულ ოცნებასთან დაკავშირებით არ მცირდება. ბევრ რამეს გვიჩვენებს, თუ მთავრობა როგორ უზრუნველყოფს 27 ოქტომბერს პრეზიდენტის სამართლიანი არჩევნების მოწყობას.

საქართველოს დიპლომატიური აკადემიის რექტორი სოსო ცინცაძე დაგვეთანხმა, რომ არჩევნების გამართვა იქნება თავისებური ტესტი „ქართული ოცნებისათვის“ დასავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, თუმცა, არა ერთადერთი.

— ძირითადი შემოწმება სიმტკიცეზე იქნება რეზონანსული სასამართლო პროცესები. თავად ფაქტი, რომ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არის მთავარი პროკურორი, ბევრ რამეზე მეტყველებს. ეს კარგი ცხოვრებისგან როდია. შეკითხვები ამერიკელებს მართლაც აქვთ, და მათზე უნდა უპასუხო ღიად და დაწვრილებით, — გვითხრა ექსპერტმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ ამერიკაში განაცხადა, რომ მომავალი არჩევნები ყველაზე მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იქნება.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს პრეზიდენტმა დახმარებისთვის გამოძიების ფედერალურ ბიუროს მოუხმო

**საქართველოში მწიფდება სკანდალი, რომელიც გამოწვეულია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სენსაციური აღიარებებით იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ჯგუფი თვალყურს ადევნებდა საქართველოს სპეცნაზის მოქმედებებს 2011 წლის ოპოზიციის მიტინგის დარბევის დროს და მიიჩნია იგი „კანონიერად“, მიუხედავად 4 ადამიანის დაღუპვისა. იმ მიტინგის ორგანიზატორებმა მოითხოვეს ამერიკის შეერთებული შტატებისგან „სერიოზული განმარტებანი“, პრეზიდენტს კი ბრალი დასდეს „ანტიამერიკული განწყობილების პროვოცირებაში“.**

ამერიკის შეერთებული შტატების როლის შესახებ ოპოზიციური მიტინგის დარბევაში რუსთაველის პროსპექტზე მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა სტუდენტებთან ამასწინანდელი შეხვედრის დროს. **„26 მაისს გამოძიების ფედერალური ბიუროს ჯგუფი იჯდა ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში და მონიტორებზე თვალყურს ადევნებდა მიტინგის დარბევის ყველა ეტაპს, — განაცხადა პრეზიდენტმა. — გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა შემდეგ დაწერეს დასკვნა, რომ ხელისუფლება მოქმედებდა კანონიერად და ძალის გადაჭარბებული გამოყენება არ ყოფილა“.**

## სააკაშვილს ბრალი ანტიამერიკული განწყობილების პროვოცირებაში დასდეს

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის ეს ნაწილი ეთერში არ მოხვედრილა, ვინაიდან ჩანაწერს აკეთებდა მხოლოდ პრეზიდენტის პრესსამსახური და მასალაში, რომელიც თავდაპირველად გადაეცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, იგი არ ყოფილა. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, მოგვიანებით პრეზიდენტმა თავად დაბეჯითებით მოითხოვა მისი გამონათქვამები გამოძიების ფედერალური ბიუროს შესახებ გამოქვეყნებულიყო.

ოპოზიციური „სახალხო კრების“ მიტინგი, რომელიც 2011 წლის 21 მაისს საზოგადოებრივი ტელევიზიის შენობასთან დაიწყო, 26 მაისის ღამით გაგრძელდა რუსთაველის პროსპექტზე. „სახალხო კრების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ მიტინგის მიზანი — ესაა „არ მიეცეს საშუალება ხელისუფლებას, მოაწყოს აღლუმი 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით“. ღამით შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცნაზმა დაარბია მომიტინგეები ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით. დაიღუპა სულ ცოტა 4 კაცი. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 2012 წლის შემოდგომაზე „ძალის ზედმეტი გამოყენება“ გახდა ერთ-ერთი ბრალდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად ციხეში სასამართლოს ელოდება.

მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამებმა გამოიწვია „სახალხო კრების“ და ნინო ბურჯანაძის აღშფოთება. ნინო ბურჯანაძე ამჟამად კენჭს იყრის პრეზიდენტობაზე. **„სააკაშვილის განცხადება, ესაა ან ბოროტად ჩაფიქრებული სიცრუე, ან საქართველოს საზოგადოებას საქმე აქვს რაღაც უფრო უარესთან, — ნათქვამია „სახალხო კრების“ მიმართვაში. — სააკაშვილი დიდი ხანია, ეწევა მავნებლობას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით, ახლა კი, არსებითად ბრალს სდებს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს ამერიკის შეერთებულ შტატებს დამსჯელი სისხლიანი ოპერაციის ორგანიზაციაში, რის შედეგადაც რამდენიმე კაცი იქნა მოკლული, ასობით კი დაიჭრა, დაპატიმრებულია და ნაწამები“.** „სახალხო კრების“ ხელმძღვანელობამ მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატებიდან სერიოზული რეაგირება და განმარტებანი **„საქართველოში ანტიამერიკული განწყობილებების თავიდან ასაცილებლად“.**

ანალოგიური მოთხოვნით მიმართა ნინო ბურჯანაძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს რიჩარდ ნორლანდს. **„სააკაშვილის განცხადება შეურაცხყოფას აყენებს ადამიანებს, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, — განაცხადა მან „რუსთავი-2“-ის ეთერში. — უცხოეთის სახელმწიფოს სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლები კი ისხდნენ ჩვენს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიტინგის ბუნტარული დარბევის დროს და იძლეოდნენ განკარგულებებს, თუ უფრო მკაცრად როგორ დასაჯონ მომიტინგეები“.**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე




**მონახე ნაცისტი – მიიღე 25 ათასი ევრო: ჰიტლერის გადარჩენილ დამნაშვებს იჭერენ პლაკატების დახმარებით**

დაახლოებით 2 ათასი პლაკატი ოსვენციმის კართა ფოტოგრაფიებით, რომლებიც გამოფენილია ბერლინში, ჰამბურგსა და კიოლნში, მოუწოდებს მოქალაქეებს, დაეხმარონ მესამე რეიხისდროინდელი სამხედრო დამნაშავეების დაჭერაში. აქციის ლოზუნგია: „გვიანია , მაგრამ არცთუ ძალიან გვიანი“. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სიმონ ვიზენტალის მონაცემებით, დაუსჯელად ცხოვრობს დაახლოებით 60 ნაცისტი დამნაშავე.

* * *

**რუსეთი სოჭის ოლიმპიადაზე დააპატიმრებს სპორტსმენებს „ანტიგეისტური კანონის“ გამო, შეეშინდათ ავსტრალიელებს**



მართალია, ამ ქვეყნის სპორტსმენთა შორის ჰომოსექსუალისტები არც არიან, მაგრამ მაინც ისინი ფრთხილად უნდა იყვნენ: ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის შესახებ კანონით შეუძლიათ დააპატიმრონ იმისთვისაც, რომ ერთი სქესის ადამიანებს ერთმანეთის ხელი უჭირავთ, აშინებენ ქვეყანაში. ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტი არაფრის გარანტიას არ იძლევა, მაგრამ მოუწოდა სპორტსმენებს — არ შეეშინდეთ.

* * *

**ხომალდი დევნილებით ავღანეთიდან და ირანიდან ჩაიძირა ავსტრალიისკენ მიმავალ გზაზე**



ხომალდს გადაჰყავდა დაახლოებით 200 კაცი. ჩაძირვის ადგილზე მოსულმა მეთევზეებმა, აგრეთვე, ინდონეზიურმა სამაშველო სამსახურებმა წყლიდან 157 კაცი ამოიყვანეს. დადასტურებულია სულ ცოტა 3 კაცის დაღუპვა. დანარჩენები უგზოუკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან.

**აფეთქება ეგვიპტეში პოლიციის შტაბ-ბინასთან: დაზარალებულია სულ ცოტა 18 კაცი, არის მსხვერპლიც**

თვითმხილველთა დამოწმებით, უცნობმა პირმა მეზობელი სახლის სახურავიდან ქალაქ ელ-მანსურაში უშიშროების ძალების შენობისკენ ისროლა ასაფეთქებელი მოწყობილობა. ეს ადმინისტრაციული ცენტრი დედაქალაქიდან 120 კილომეტრშია. დაჭრილთა შორის 6 მშვიდობიანი მოქალაქეა. ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, თავდამსხმელის დაჭერა შეძლეს.



საერთო სატკივრის გამო

# „ჰეი, თქვენ, არაგველებო!“

## იქნებ, სხვათა მაგალითმა ჩვენც გაგვიღვიძოს ეროვნული სულისკვეთება?!



**მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ნანა ჯანელიძეს.**

ზუსტად ამ თემაზე, რაზეც ახლა ვწერ, ორი წლის წინათაც მქონდა წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, მაგრამ, როგორც იტყვიან, „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი...“ მიშას ხელისუფლება ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაზე წუთითაც არ ფიქრობდა, თორემ ორი წლის წინათ ჩემს წერილში აღძრულ საკითხს, აუცილებლად უნდა გამოხმაურებოდა.

რა ხდებაო, იკითხავთ. ეს თემა, ტელევიზორში ნანახმა, დიდად შთამბეჭდავმა ამერიკულმა ფილმმა **„სამასმა სპარტელმა“**, მისგან გამოწვეულმა ემოციამ მიკარნახა, ჰოდა, იცით, რა მიკარნახა?! **ჩვენ, ქართველებს, 300 არაგველის, 9 ძმა ხერხეულიძის, ქეთევან დედოფლის მშობელ ქვეყანას, ჩვენ, რომელთაც არ გვჭირდება გმირი წინაპრების „გამოგონება“ და არც კინემატოგრაფიაში ვართ „ჯაბანნი“, რატომ უნდა შევნატროდეთ ეკრანზე გაცოცხლებულ სხვათა გმირებს?! კი, ბატონო, პატივს ვცემდეთ მათ, მაგრამ რატომ არ უნდა იფიქრონ ქართველმა კინოოსტატებმა, რომ წინაპართა გმირობა უკვდავყონ ეკრანზე და ყველაზე მასობრივი ხელოვნების საშუალებით ანახონ ჩვენთვის უცხო ფსიქოლოგიით ტვინნაღრძობ უამრავ ახალგაზრდას, რომ გეების პარადისკენ კი არ უნდა ჰქონდეთ ყურადღება გამახვილებული, კრწანისში, სანთლები დაუნთონ 300 არაგველის ნათელ ხსოვნას.**

ჯერ კიდევ როდის, გასული საუკუნის 50-იან წლებშია გადაღებული „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „მაია წყნეთელი“ (აღარაფერს ვამბობ 40-იან წლებში გადაღებულ „გიორგი სააკაძეზე“) და სხვა ფილმები, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდებში, სწორედაც რომ ნერგავდნენ პატრიოტულ შემართებას, აფიქრებდნენ იმაზე, თუ ვისი გორისანი არიან... (სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნულ ფილმებს და, საერთოდ, ეროვნული სულისკვეთებით აღბეჭდილ კინონაწარმოებებს არც ერთი ქართული ტელეარხი თითქმის აღარ უჩვენებს „ერთსულოვნების“ გარდა).

მოკლედ, შეგაწყინეთ თავი, და, ბოლოს და ბოლოს, ის მინდოდა მეთქვა: ამ რამდენიმე დღის წინათაც, რომ ვნახე ტელევიზიით „სამასი სპარტელი“, ისევ რომ გამიჩნდა სურვილი, ერთხელაც გამეჟღერებია ეს მტკივნეული თემა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ **ახალი, ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება, დაინტერესდება ამ საკითხით, კულტურის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი, თქვენი თაოსნობით, ბატონო ბიძინა, გამოაცხადებენ 300 არაგველის კინოსცენარისთვის კონკურსს, დააინტერესებენ ჩვენს ნიჭიერ კინორეჟისორებს, არ დაიშურებთ ფულსაც (არ დაჯდება მცირე თანხა, ამიტომ შეიძლება ინვესტორებიც მოიწვიოთ), რომ ეკრანზე გაიბრწყინოს გმირ წინაპართა სახეებმა, რომლის ღირსიც, სწორედაც რომ უნდა იყოს ჩვენი ახალგაზრდობა!**

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**P. S. ბატონო გურამ და ქალბატონო ნანა: რა იქნება, რომ სულაც თქვენი — მწერლისა და კინორეჟისორის ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნას ეს ფილმი?!**

**ვ. მ.**

დანაპირები არ სრულდება

# ყვითელი მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცვას აპირებენ

**„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ თბილისის მერიას და კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ გარიგებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ for.ge-ს პრეს-კლუბში განცხადება „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენელმა გიორგი ზერეკიძემ გააკეთა.**

მისი თქმით, ტარიფების განსაზღვრა თბილისის მერის გიგი უგულავას კაბინეტში წყდება. ამასთანავე, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მფლობელობაში არის ავტოფარეხები და მიკროავტობუსების მძღოლებს ავალდებულებენ მანქანები სწორედ ამ ავტოფარეხებში შეაკეთონ. იქ კი მძღოლებს მანქანების შესაკეთებლად, თითქმის, სამმაგი ფასის გადახდა უწევთ სხვა ავტოფარეხებთან შედარებით. გარდა ამისა, გიორგი ზერეკიძე ამბობს, რომ ზაფხულის პერიოდში მიკროავტობუსების მძღოლებს ე.წ. კონდიცირების გადასახადიც დაუწესეს.

**„ჩვენი ორგანიზაცია მიმართავს თბილისის მერიას და შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორს დავით ასანიძეს, მძღოლებთან მოაგვარონ აღნიშნული პრობლემები, რითაც სამგზავრო ტარიფების დაწევაც გახდება შესაძლებელი. კერძოდ, მძღოლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ თუ ეს პრობლემები მოგვარდება, სამგზავრო ტარიფს 50 თეთრამდე შეამცირებენ, რაც ჩვენი მოქალაქეებისთვის ძალიან დიდი შეღავათი იქნება, რადგან მათ მიეცემათ საშუალება გაცილებით ნაკლებ ფასად გადაადგილდნენ ქალაქში. ასევე მივმართავთ ქალაქ თბილისის მერს გიგი უგულავას, თბილისის მოქალაქეების ხარჯზე თავისი ჯიბის გასქელება შეწყვიტოს“,** — აღნიშნავს გიორგი ზერეკიძე.

მისი თქმით, თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება, მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცვას დაიწყებენ და ეს ყველაფერი ისევ თბილისის მოქალაქეებს დააზარალებს.

**— რა თანხებზე საუბრობთ, როდესაც ამბობთ, რომ უგულავა და ასანიძე მძღოლებს კოლოსალურ თანხებსართმევენ?**

— აქ საუბარია ყოველდღიურ გადასახადზე, რომელსაც მძღოლებს დავით ასანიძე და აკაკი ჯოხაძე უსაზღვრავენ. რაც შეეხება ჩემს მიერ ნახსენებ ავტოფარეხებს, მძღოლები ამბობენ, რომ სხვაგან მანქანის შეკეთება იმის ნახევარიც არ უჯდებათ, რაც „თბილისის მიკროავტობუსის“ ავტოფარეხებში, მაგრამ სხვაგან მანქანის წაყვანის უფლება არ აქვთ. ამასთანავე, როგორც მოგახსენეთ, მათ კონდიცირების გადასახადი დაუწესეს, მაგრამ როგორც მძღოლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, ეს თანხები სად მიდის, არავინ იცის, რადგან ოფიციალურად ეს ფული არსად ფიქსირდება.

**— იქნებ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს კონდიცირების გადასახადი?**

— მოგეხსენებათ, მიკროავტობუსები არის არა მძღოლების, არამედ „თბილისის მიკროავტობუსის“ მფლობელობაშია და მიუხედავად იმისა, ჩართავს თუ არა მძღოლი კონდიციონერს, მათ ყოველდღიურად უწევთ კონდიცირების გადასახადის გადახდა. ეს გადასახადი დღეში საშუალოდ 15 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

**— რამდენიმე თვის წინათ მიკროავტობუსების მძღოლები გაფიცულები იყვნენ და შემდეგ „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობასთან გარკვეული შეთანხმება შედგა, როგორც მაშინ ითქვა, მძღოლებს ყოველდღიური გადასახადი შეუმცირეს. სინამდვილეში ასე არ არის?**

— სულ რამდენიმე დღის წინათ „თბილისის მიკროავტობუსის“ დირექტორმა დავით ასანიძემ გააკეთა განცხადება, რომ ზაფხულის პერიოდისთვის მძღოლებს ყოველდღიური გადასახადი 30%-ით შეუმცირეს, თუმცა ეს არის სიცრუე, ისევე, როგორც ის, რაზეც თქვენ მეკითხებით. რეალურად არც მაშინ შემცირებულა გადასახადი. სწორედ ამიტომ, მიკროავტობუსების მძღოლები იმ ზღვარზე არიან მისულები, რომ გაფიცვა მოაწყონ.

**— ავტოფარეხებთან დაკავშირებითაც თითქოს შედგა შეთანხმება, რომ მძღოლებს, სადაც სურვილი ექნებოდათ, იქ შეაკეთებდნენ მანქანებს.**

— ეს შეთანხმებაც არ შესრულებულა და მძღოლებს დღესაც ავალდებულებენ, რომ სწორედ „თბილისის მიკროავტობუსის“ ავტოფარეხებში შეაკეთონ მანქანები.

**— თუკი გადასახადები არ შემცირებულა და ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია ასე გრძელდება, მაშინ მძღოლების გაფიცვა ახლა რატომ დადგა დღის წესრიგში?**

— ეს გამოიწვია კონდიცირების გადასახადის დამატებამ. მძღოლების გაღიზიანებას იწვევს ისიც, რომ ეს გადასახადი ოფიციალურ დოკუმენტებში არ არის ასახული. ამიტომაც მივმართავთ თბილისის მერიას და „თბილისის მიკროავტობუსს“, მიხედონ ამ საკითხს და პრობლემა მოაგვარონ.

**ნინო ჟღენტი**

პრეზიდენტის ბინძური პროვოკაცია

# სააკაშვილი 26 მაისის თემით სპეკულირებს

(მეშვიდე გვერდიდან)

**„ვფიქრობ, რომ ორივე ვერსიას არსებობის საფუძველი აქვს, მაგრამ რაც მთავარია, თქვენმა მკითხველმა ერთი რამ უნდა იცოდეს — „ეფ-ბი-აი“, და საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატები, ამგვარ საქმეებში არ ერევა, მით უმეტეს პროფესიულ დონეზე. ამასთანავე, გახსოვთ, ალბათ, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან გაკეთებულ განცხადებაში 26 მაისს სამართალდამცავების მიერ ძალის გადაჭარბებაზე იყო საუბარი“,** — ამბობს გია ვოლსკი.



მისი თქმით, არ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებდეს. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოება ან არასერიოზულად მიიღებს სააკაშვილის განცხადებას, ან სათანადო შეფასებას გაუკეთებს მას.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია აღნიშნავს, რომ ამერიკის საელჩო მართალია, პრეზიდენტის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ თავად ამ ფაქტს არ ადასტურებს. ექსპერტი გამორიცხავს, რომ ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაციის მხრიდან მსგავი ქმედება იყოს ჩადენილი და ამბობს, რომ ეს მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული პოლიტიკური შანტაჟია.

**„სხვათა შორის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ერთადერთია, ვინც 2010 წლის 24 აგვისტოს ჩემს მიმართ განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტს გამოეხმაურა (რაც ჩემს ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად) და დაგმო. ობამას ადმინისტრაციის მიერ სწორედ ანალოგიური მესიჯები იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ გამოთქმული და საერთოდაც, იგი სააკაშვილის რეჟიმისგან თავიდანვე დისტანცირებული იყო. ამიტომ, მე ვთვლი, რომ ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფური ფანტაზიის მორიგი პოლიტიკური ნაყოფია და ობამას ადმინისტრაციისადმი ერთგვარ შურისძიებასაც ისახავს მიზნად“,** — აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, ამერიკაში პოლიტიკური ლობიზმი მიღებული, ღიად დაშვებული ქმედებაა და ამ კუთხით, როგორც რესპუბლიკურ, ასევე დემოკრატიულ პარტიებში გარკვეული იდეოლოგიური ჯგუფები არსებობენ, მათ შორის ნეოკონსერვატორული დაჯგუფება, რომელიც მიხეილ სააკაშვილს უპირობო მხარდაჭერას უცხადებდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგივე განწყობები აქვს ობამას ადმინისტრაციას. ვახტანგ მაისაია მიიჩნევს, რომ თუკი სააკაშვილის ნათქვამი დადასტურდება, აქ უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რა ჯგუფები იყვნენ ამერიკიდან ჩამოსულები, რადგან შესაძლოა, ეს სწორედ იმ ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც მიხეილ სააკაშვილს ლობირებენ.

**„მოგეხსენებათ, არის რამდენიმე სენატორი და კონგრესმენი, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის დაკვეთას ასრულებენ. ჩვენს ენაზე ამას პოლიტიკური კორუფცია ჰქვია, ხოლო ამერიკელების ენაზე — ლობიზმი. შეიძლება ამ შემთხვევაში სწორედ ამაზე იყოს საუბარი. შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, ეს ყველაფერი ჯონ ბასის ცნობილ განცხადებას მიაბას და თავისი პროვოკაციული ქმედება ამით გაამართლოს“,** — აღნიშნავს ვახტანგ მაისაია.

მისი თქმით, თავის დროზე 26 მაისთან დაკავშირებით ჯონ ბასს უფრო მეტი განმარტება უნდა გაეკეთებინა, თუმცა, ექსპერტი არ ფიქრობს, რომ შესაძლებელია, აქ „ეფ-ბი-აი“-ს წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალს მიტინგის დარბევას და ეს უფრო მიხეილ სააკაშვილის ბინძური პოლიტიკური პროვოკაციაა.

**რუსიკო უშიკაშვილი**

თამასა




# სერბებმა მიწაზე დაგვაბრუნეს

**არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვაც ყველას როდი შეუძლია. ეტყობა, ასეთთა კატეგორიას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც განეკუთვნება. თუ რამ მაფიქრებინა ეს, ახლავე მოგახსენებთ.**

ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის სასტარტო მატჩი ფავორიტ ფრანგებთან გია ცეცაძის გუნდმა დიდებულად ჩაატარა და დამსახურებულად მოიპოვა ქულა, თუმცა ჩვენს ჭაბუკთათვის სათანადო დითირამბების მიძღვნისას შიშიც გამოვთქვი, ჯერაც დაუღვინებელ ბიჭებს დათვური სამსახური არ გავუწიო და ქება თავში არ აუვარდეთ-მეთქი.

ვერ გეტყვით, ფსიქოლოგიური ფაქტორის ბრალი იყო თუ სხვა რამის, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: **„ჯვაროსნებმა“ სერბებთან ფეხბურთის გარდა ყველაფერი ითამაშეს — 0:1.**

ასეთ საოცარ მეტამორფოზას ძნელად თუ წარმოიდგენდი კაცი შემადგენლობაში სამუშიასა და უბილავას დაბრუნების გათვალისწინებით, რომლებმაც „სამფეროვნებთან“ ბრძოლა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

თანამემამულეთა კრიტიკა ზოგადი რომ არ მოგეჩვენოთ, მხოლოდ ერთ კომპონენტზე გავამახვილებ ყურადღებას: ქართული ფეხბურთის იმედად შერაცხულ გუნდში არ მოიძებნება მოთამაშე, რომელიც პარტნიორებს ზუსტი მწვავე გადაცემით მოამარაგებს. ალბათ, ამასაც უნდა მივაწეროთ, ორ მატჩში მეტოქის კარს მხოლოდ ორჯერ რომ დავემუქრეთ.

ასეა თუ ისე, პლეი-ოფში გასასვლელად თეორიული შანსიღა დაგვრჩა. ვისაც სასწაულისა გჯერათ, დაე, აგიხდეთ!

**საფრანგეთი — თურქეთი 2:1.**

**სერბეთი — 6, საფრანგეთი — 4, საქართველო — 1, თურქეთი — 0 ქულა.**

**ხვალ ითამაშებენ:** სერბეთი — საფრანგეთი, საქართველო — თურქეთი.

**გია პლატონიშვილი**

ესლა გვაკლდა

# თორნიკე შენგელიას ევროპის ჩემპიონატზე თამაში სათუოა

**ამერიკული კემპის (ორლანდოში) დროს საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ბრუკლინ ნეთსის“ მძიმე ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ მუხლის ტრავმა მიიღო და, შეკრებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ევროპა-2013-ის ფინალურ ტურნირზე სლოვენიაში მისი თამაშიც სათუოა.**

ექიმები რამდენიმე დღეში გაარკვევენ, დასჭირდება თუ არა საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, სავარაუდოდ, მენისკის ოპერაცია. ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, გუნდის კაპიტან ზაზა ფაჩულიას მსგავსად, შენგელიას ევროპა-2013-ზე მონაწილეობა თითქმის გამორიცხება.

**ვიტალი ჯაფარიძე**




განსჯა




# ძიუდოისტებმა უტრეხტი და მოსკოვი შეაფასეს

**საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ ახლახან უტრეხტში ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსა და მოსკოვურ „დიდ სლემზე“ ქართველი ძიუდოისტების გამოსვლა შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში შეაჯამა.** შეგახსენებთ, ოლიმპიურ ფესტივალზე კვარცხლბეკზე შვიდი ქართველი ძიუდოისტი ავიდა: ერეკლე არხოზაშვილი (55 კგ) და გიორგი კაციაშვილი (60 კგ) ჩემპიონები გახდნენ, თამაზ კირაკოზაშვილმა (73 კგ), იესო კვირიკაშვილმა (81 კგ) და გიორგი ძებისაშვილმა ((90 კგ) ვერცხლის მედლები მოიგეს, ხოლო სიმონ მამარდაშვილმა (66 კგ) და მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) - ბრინჯაოები, „დიდ სლემზე“ კი ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) ოქრო, ხოლო ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ) ბრინჯაო მოიპოვა.




ჰოლანდიამოვლილი ვაჟთა და გოგონათა გუნდები პრესკონფერენციას თითქმის სრული შემადგენლობით დაესწრნენ, ეროვნული ნაკრები კი რუსეთში მიმდინარე ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობს.

„ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენი სპორტსმენები, მოლოდინისამებრ, მშვენივრად გამოვიდნენ. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ძალიან კარგი თაობა მოდის და ამ ძიუდოისტებს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრების შანსიც აქვთ. მინდა მადლობა გადავუხადო ირაკლი ცირეკიძეს, გიორგი რევაზიშვილს, ლაშა გუჯეჯიანს, ვაჟა ბალხამიშვილს, გიორგი თენაძეს, კახა მოცრაძესა და აბსოლუტურად ყველა მწვრთნელს, ვისმა შრომამაც ამ შედეგამდე მიგვიყვანა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა თვით ძიუდოისტებს“, — განაცხადა დავით ქევხიშვილმა და ფესტივალის ჩემპიონ-პრიზიორები ფულადი ჯილდოებით დაასაჩუქრა.

ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა ახლადდაარსებული ძიუდოს განვითარების ფონდის შესახებაც შეახსენა დამსწრეთ, აღნიშნა რა, რომ მედალოსნებისთვის დაწესებული თანხა სწორედ ამ ფონდიდან გამოიყო. ძიუდოს განვითარების ფონდში გაწევრიანება ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვისაც სპორტის ამ სახეობის დახმარების სურვილი აქვს.

დავით ქევხიშვილმა ეროვნული ნაკრების წევრთა „დიდ სლემზე“ გამოსვლაც შეაფასა. მან განსაკუთრებით პაპინაშვილისა და რეხვიაშვილის ჭიდაობა გამოარჩია, ერთადერთ იმედგაცრუებად კი ადამ ოქრუაშვილის ჩავარდნა მიიჩნია, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ოქრუაშვილისთვის რუსული წარუმატებლობა სასიკეთო ბიძგი უნდა გამოდგეს.

„იმედია, ეს მარცხი გამოაფხიზლებს და უკეთესად ივარჯიშებს. თუკი მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგ შედეგს მიაღწევს, ეს აუცილებლად „დიდ სლემზე“ განცდილი მარცხის დამსახურება იქნება“ — დასძინა ქევხიშვილმა.

მოკლე კომენტარი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემაც გააკეთა. მან განაცხადა, რომ გუნდში შიდა კონკურენციის მხრივ გაცილებით კარგი ვითარებაა, ვიდრე აქამდე იყო.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# ახლა კი დროა, „დინამო“ რომა...

**როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩშიც უპრობლემოდ გაუსწორდა „სტრეიმურს“ — 3:1 და მორიგ ეტაპზე ამ ტურნირის ყოფილ ტრიუმფატორ ბუქარესტის „სტიაუასთან“ მოუწევს მძიმე ბრძოლა.**




ფარერის კუნძულებზე გამართული შეხვედრის ბედი საწყის 12 წუთში გადაწყდა, როცა ჩისკომ (პენალტით) და დვალმა (თავით) ზედიზედ დალაშქრეს მასპინძელთა კარი — 0:0.

მართალია, შესვენებამდე დუშან უჰრინის გუნდის მეკარის ლორიას უკვე ქრონიკულად ქცეული შეცდომის შედეგად დანიელსონმა პრესტიჟის გოლი გაგვიტანა, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე მინდორზე შემცვლელად შესულმა გლიშიჩმა შორეული დარტყმით ულამაზესი წერტილი დაუსვა პარტნიორთა გამარჯვებას.

რაც შეეხება რუმინელებთან მომავალ დუელს (30 ივლისი, 6 აგვისტო), მათი ფავორიტის სტატუსის მიუხედავად, ვფიქრობთ, გარკვეული შანსი ჩვენს კლუბსაც გააჩნია. სხვა თუ არაფერი, კარპატელები — „ვიქტორია“ და „უნივერსიტატია“ ხომ გვყავს ახლო წარსულში დამარცხებული?

**როსტომ რაჭველიშვილი**

დანაკარგი

# მშვიდობით, დიდო „ცაცია“



**ბრაზილიაში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი ჯალმა სანტოსი. სამხრეთამერიკული სააგენტოების ცნობით, ლეგენდარული ნაკრების მცველი ფილტვების ანთების გამო 1 ივლისიდან საავადმყოფოში იწვა და ავადმყოფობას ვერ გაუძლო.**

ჯალმა სანტოსს ბევრი სპეციალისტი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მარცხენა მცველად მიიჩნევს. იგი ბრაზილიის ნაკრებთან ერთად 1958 და 1962 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, საკლუბო დონეზე კი „პალმეირასში“, „პორტუგეზასა“ და „ატლეტიკო პარანაენსეში“ თამაშობდა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

# უმჯობესია ბევრი და ხშირი

**ბევრი ევროპელი ქალი ბოლო დროს ყოველგვარი საზოგადოებრივ-დოგმატური წნეხისგან იმდენად გათავისუფლდა, რომ როცა კი საშუალება ეძლევა, მოაღებს პირს და საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე ისე ლაღად საუბრობს, კაცი იფიქრებს, ამ ქალს ცხოვრებაში სექსის მეტი არაფერი უკეთებიაო...**

ცოტა ხნის წინათ თავისი „სექსუალური სილაღე“ იტალიური „ფიორენტინას“ ფეხბურთელის მარიო გომესის ცოლმა სილვია მიჩელმაც დაამტკიცა. როცა ჟურნალისტების წინაშე დაიწუწუნა, რომ ფეხბურთელის ცოლობა რთულია, რადგან მისი ქმარი რჩეულთან თანაცხოვრებას ხშირად ვერ ახერხებს.

კაცია (ქალია) და გუნება. ჰოდა, რთული სათქმელია, ვისთვის როგორ განისაზღვრება ტერმინი „ხშირი სექსი“. თუმცა, როგორც ჩანს, ქალბატონ სილვიას მართლაც ნამეტანი მოაკლდა ერთი გემრიელი, დაშხოშიანი სექსი, თორემ ამას ასე ხმამაღლა ალბათ ნამდვილად არ იტყოდა...

**ბეჟან დოლიძე**



# ფერმერთა საყურადღებოდ!

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია იწყებს უფასო კონსულტაციებს ფერმერებისთვის

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური დარგობრივი ჯგუფები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ეროვნული კოორდინატორები.**

საქართველოს ფერმერებმა სოფლის მეურნეობის ნებისმიერ დარგში მათთვის საინტერესო თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებზე კონსულტაციებისთვის შეუძლიათ მიმართონ ტელეფონით, წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებს.

ფერმერების მოთხოვნებისა და წერილობითი განცხადებების მიხედვით შესაძლებელია აგრეთვე ფერმერთა ეროვნულ კოორდინატორებთან შეხვედრა აკადემიაში, სადაც ისინი მიიღებენ შესაბამის კონსულტაციებს სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ საკითხზე. შეხვედრის დრო და თარილი მათ დამატებით ეცნობებათ.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხების რაოდენობა და ფერმერთა დაინტერესება რომელიმე რეგიონში დიდია, შესაძლებელია ეროვნული კოორდინატორების შეხვედრა ფერმერებთან ჩატარდეს ადგილებზე.

**აკადემიის ეროვნულ კოორდინატორებთან კონტაქტები შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ მისამართზე:**

**0102, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №51;**

**ელ ფოსტა:** E-mail. gaasygeorgia@mail.com; farmer-academy@mail.ru;

**ვებგვერდი:** www.academy-as-georgia.dsl.ge.

**ტელეფონები: 294 13 21 (591 32 34 63); 294 13 20 (593 314 143).**

აკადემიის ეროვნული კოორდინატორები მიმართულებების მიხედვით:

**I. აგრონომიული მიმართულება — საერთო ხელმძღვანელობა — აკადემიის აგრონომიული საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი**

1. მიწათმოქმედება — აკად. გივი ცაგურიშვილი ტ. 599 63 12 34;
2 აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა — აკად. გოგოლა მარგველაშვილი ტ. 599 63 14 61;
3. მინდვრისა და ბოსტნეული კულტურები — აკად. პეტრე ნასყიდაშვილი ტ. 599 26 83 51, აკად. დოქტ. ნატო კაკაბაძე ტ. 593 34 67 02;
4. მცენარეთა დაცვა — აკად. გურამ ალექსიძე ტ. 593 20 07 93;
5. მევენახეობა-მეღვინეობა — აკად. ნოდარ ჩხარტიშვილი ტ. 599 51 88 58, აკად. გურამ პაპუნიძე ტ. 599 50 61 25, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე;
6. მეხილეობა — აკად. იუზა ვასაძე;
7. ჩაი და ციტრუსები — აკად. ვალერიან ცანავა ტ. 599 53 22 25;
8. მეტყევეობა — აკად. რევაზ ჩაგელიშვილი, ტ. 599 93 96 00 აკად. გივი ჯაფარიძე ტ. 599 54 99 99;
9. მეაბრეშუმეობა — აკად. წ/კ გიორგი ნიკოლეიშვილი ტ. 599 56 58 84, აკად. თამაზ კუნჭულია ტ. 599 50 38 16, აკად წ/კ ელგუჯა შაფაქიძე ტ. 577 71 17 75;
10 სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგია — აკად წ/კ. თამაზ თურმანიძე ტ. 591 71 08 35.

**II. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების მიმართულება — საერთო ხელმძღვანელობა — აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**

1. მეცხოველეობა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება — აკად. ზურაბ ცქიტიშვილი ტ. 577 57 77 71, აკად. ჯემალ გუგუშვილი ტ. 577 41 29 23;
2. საკვებწარმოება — აკად. გოგოთურ აგლაძე ტ. 577 46 11 44;
3. ვეტერინარია — აკად. თენგიზ ყურაშვილი ტ. 599 58 55 16;
4. მეფუტკრეობა — ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ბორის წითლიძე ტ. 593 65 69 92.

**III. საინჟინრო მიმართულება — საერთო ხელმძღვანელობა — აკადემიის საინჟინრო საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — აკად. რეზო მახარობლიძე ტ. 599 53 52 82;
2. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია — აკად. არჩილ ვაშაკიძე ტ. 577 79 91 91;
3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვა, გადამუშავება და ახალი ტექნოლოგიები — აკად. ნუგზარ ბაღათურია. ტ. 599 43 15 14, აკად. თენგიზ ნანიტაშვილი ტ. 599 71 55 33;
4. ჰიდრომელიორაცია — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ყრუაშვილი ტ. 555 23 23 73.

---

### სანთელი

## ნოდარ ცხვირავაშვილის ხსოვნას



ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება და უერთგულესი მეგობარი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ცხვირავაშვილი.

იგი დაიბადა 1935 წელს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ოჯახში.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ინჟინრის რთული პროფესია აირჩია და ჩაირიცხა კიდეც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო ფაკულტეტზე, სადაც ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაციის სპეციალობას დაეუფლა. შემდეგ სწავლა გააგრძელა საამშენებლო ფაკულტეტზე სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით და დიდხანს იმუშავა „თბილგაზმშენის“, „ინჟმშენის“, საქართველოს პროფსაბჭოს სისტემაში და ოსტატიდან მთავარ ინჟინრამდე დაწინაურდა. ასევე იყო საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აპარატში კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი, უფროსი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა „კოლხიდმშენის“ ტრესტში. მოგვიანებით კი მუშაობა გააგრძელა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნაში“ და აქაც თავმჯდომრის მოადგილედ დაწინაურდა.

პროფესიონალიზმისა და დამსახურებისთვის მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული.

ძალზე ძნელია მეგობრის, თანამშრომლის წარსულში მოხსენიება, ყველა, ვინც კი მას იცნობდა, არასდროს დაივიწყებს არაჩვეულებრივ პიროვნებას, ნაღდ თბილისელს ნოდარ ცხვირავაშვილს.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა....

**საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა, კოლეგები, მეგობრები**

---

**ნუგზარ წერეთელი, ნოდარ ზედელაშვილი, ტარიელ ჩიგოგიძე, ვოვა ცინცაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, ძირძველი თბილისელი**

**ნოდარ ცხვირავაშვილი**

**და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.**

---

**შპს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ადმინისტრაცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, ღირსეული მოქალაქის**

**ნოდარ ცხვირავაშვილის**

**გარდაცვალებას და გულითადად უთანაგრძნობენ გელა და სალომე გოგიშვილებს.**

---

**მანანა, დემურ მიქაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათნო ქალბატონი, ბატონი რევაზ თევზაძის მეუღლე**

**სნეივარ დალაქიშვილი-თევზაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დიდი ოჯახის წევრებს.**

---

**დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, დათო დათოშვილი, როლანდ იოსელიანი, თამაზ ყაჭეიშვილი, მერაბ მახარაძე, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, ბონდო ქობულია, იმედა კახიანი, თამაზ ცინცაძე მწუხარებით უთანაგრძნობენ რევაზ თევზაძეს მეუღლის**

**სნეივარ დალაქიშვილი-თევზაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გია, მარინა მახარაძეები თანაუგრძნობენ რეზო, ზაზა, ნიკო თევზაძეებს მეუღლის და დედის**

**სნეივარ დალაქიშვილი-თევზაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**სოფო, ნათია მახარაძეები, პაატა წერეთელი, რეზო ლურსმანაშვილი თანაუგრძნობენ რეზო, ზაზა, ნიკო თევზაძეებს მეუღლის და დედის**

**სნეივარ დალაქიშვილი-თევზაძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

### ალიან-ჩალიანი

## სახელმწიფო ქონების თაღლითურად მიტაცებისათვის დააკავეს

**სამართალდამცველებმა სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გია დორეული დააკავეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, დორეულთან ერთად დაკავებულები არიან შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტ ესკორტის“ დირექტორი მინდია ტაბაღუა და მოქალაქე დავით ქოროღლიშვილი.**

**გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის ოქტომბერში, მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გია დორეულის ხელშეწყობითა და ორგანიზებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გია დორეულის დეიდაშვილს - დავით ქოროღლიშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქონების ურთიერთგაცვლის შესახებ, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქალაქ მარნეულში მდებარე 1947 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული პოლიციის ყოფილი შენობა, მოქალაქე დავით ქოროღლიშვილს 15 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სანაცვლოდ გადაეცა. აღნიშნული ქონება გაცვლამდე ექსპერტ მინდია ტაბაღუას მიერ 128 000 ლარად შეფასდა.**

**გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ გაცვლის მომენტში სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეალური ღირებულება 982 421 ლარს, ხოლო მოქალაქე დავით ქოროღლიშვილის მიწის ნაკვეთის ღირებულება 102 742 ლარს შეადგენდა. 2013 წლის ივნისში აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა იმავე მდგომარეობაში კერძო მესაკუთრეების მიერ 600 000 აშშ დოლარად გასხვისდა. ხსენებული ქმედებით სახელმწიფოს 879 679 ლარის ზიანი მიადგა.**

**გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180 - ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს.**

## სარფში ერთ კილოგრამზე მეტი ოქრო აღმოაჩინეს

**სარფში ერთ კილოგრამზე მეტი ოქრო აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ოქროს მალულად შემოტანის ორი ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებმა მარხა მ-მ და ნორგულ ნ-მ საქართველოს საბაჟო საზღვარზე, ს.გ.პ. „სარფში“ საბაჟო კონტროლისაგან მამულად, სხეულზე მოწყობილი სპეციალური სამალავით საქართველოში სხვადასხვა სახის ოქროს ნაკეთობები გადმოიტანეს.**

**შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მარხა მ-ს პირადი დათვალიერებისას სხეულზე დამაგრებულ პლასტმასის კონტეინერებში დაახლოებით, 766 გრამი ოქროს ნაკეთობა აღმოუჩნეს. ნაკეთობების სავარაუდო ღირებულება 15000 ლარს აღემატება, ნორგულ ნ-ს კი, ასევე სხეულზე დამაგრებულ პლასტმასის კონტეინერებში დაახლოებით 347 გრამი ოქროს ნაკეთობა, სავარაუდო ღირებულებით 15000 ლარი, აღმოაჩნდა.**

**შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმის მასალები შემდგომი მოკვლევის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.**

**ინტერპრესი**

---

### განცხადება

2013 წლის 13 სექტემბერს, 13 საათზე, შპს „ბაჩანას“ ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, 9 აპრილის ქუჩა №13) გაიმართება შპს „ბაჩანას“ კუთვნილი მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ფუნქციონირების პროცესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამდიდრება, მანგანუმის კონცენტრატის მიღება და რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ბაჩანას“ ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ჭიათურა, 9 აპრილის ქუჩა №13;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა, ტელ: 5(95)59 52 55; 5(99) 16 47 05.

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 8 სექტემბრის 18 საათამდე.

**შპს „ბაჩანას“ ადმინისტრაცია**

## დაიჯესტი

### აბა, ბავშვებო, რამდენი იქნება ორჯერ შვიდი?



**მსოფლიოში ტექნიკურად ყველაზე მოწინავე ქვეყნის — იაპონიის მოქალაქეებს ფსიქოლოგებმა „დისკალკულიის“ არითმეტიკის შესწავლის უუნარობის დიაგნოზი დაუსვეს.**

ეს „სნეულება“ იაპონელებს ჯერ კიდევ ბავშვობიდან იპყრობს, როცა იმის მაგივრად, რომ მარტივი არითმეტიკული მოქმედება ზეპირად მოახდინონ, მოზარდი კალკულატორს იყენებს. ერთ დროს მიაჩნდათ, რომ ბავშვები უბრალოდ ზარმაცობენ და მხოლოდ ცოტა ხნის წინათ მიხვდნენ, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ სიმპტომთან აქვთ საქმე. სწორედ ამიტომ არის, რომ ახლა იაპონელი მასწავლებლები მოსწავლეებს ზეპირ ანგარიშს ასწავლიან და, წარმოიდგინეთ, გამოცდებსაც კი აბარებინებენ.

### აქვე შევიდეთ, თითო გადავკრათ!

**ფინელ მეცნიერთა აზრით, ალკოჰოლიზმისაკენ მიდრეკილებას მარტო მემკვიდრეობითობა კი არა, არამედ საცხოვრებელი ადგილიც განაპირობებს**

მათ დაადგინეს, რომ, რაც უფრო ახლოს ცხოვრობს ადამიანი ღვინის სარდაფთან, რესტორანთან თუ ნებისმიერ სხვა მსგავს დაწესებულებასთან, მით უფრო მეტი შანსი აქვს მას ალკოჰოლთან პრობლემები შეექმნას. ეს დასკვნა მედიკოსებმა შვიდი წლის მანძილზე 55 ათას იქაურ ზრდასრულ მამაკაცზე დაკვირვების შედეგად გამოიტანეს. მოხალისეებში, ვინც ბარიდან ერთი კილომეტრის მოშორებით ცხოვრობდნენ, ალკოჰოლიზმის განვითარების რისკი 17 პროცენტს შეადგენდა: მამაკაცები კვირაში 290 გრამი სუფთა ალკოჰოლის სმას იწყებდნენ, ქალების „დოზა“ კი 200 გრამს შეადგენდა.

### საყდარი - ქანქარა

**ბირმის ერთ-ერთ მთიან რაიონში მეტად უცნაური საყდარი მდებარეობს.**

პაგოდა უზარმაზარ, სამსართულიანი სახლის სიმაღლის მრგვალ მონოლითურ ლოდზეა აგებული, რომელიც ხრამის თავსაა გადაკიდული. საკმარისია მონოლითს ხელით დააწვეთ, რომ იგი ამოძრავდება, საყდრის წვერი კი ქანქარასავით დაიწყებს რხევას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს



ლოდიც და საყდარიც უფსკრულში უნდა გადაიჩეხოს, მაგრამ ბუნების ძალითა და ადამიანის ხელით შექმნილი ეს საოცრება უკვე ათი საუკუნეა არსებობს.

### სიმსუქნე და... ძილი

**წელსა და თეძოებზე ცხიმი უძილობის მიზეზია, — ეს დასკვნა ამერიკელმა მკვლევარებმა მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ გამოიტანეს. ამასთან, მედიკოსების თქმით, თუკი ცხიმს მოვიცილებთ, ნორმალური ძილიც აღგვიდგება.**

მიღებულ დასკვნას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ სიმსუქნეს ხშირად სდევს აპნოე (ესაა ძილში სუნთქვის ხანმოკლე შეჩერება). სწორედ აპნოეა უძილობის, ასევე გულისა და თავის ტვინის სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზი, რომლებიც ამის გამო საკმარისი ოდენობით ჟანგბადსა და მკვებავ ნივთიერებებს ვერ იღებენ, ხოლო როცა სხეულის წონა იკლებს, თავის ტვინი მეტ ჟანგბადს იღებს და ძილის ხარისხი შესამჩნევად უმჯობესდება.

### თვითმკვლელობის რისკი

**დანიელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტოქსოპლაზმოზით მოწამვლა ქალებში თვითმკვლელობის ალბათობას ზრდის.**



ერთობლივი გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ინფექციის მატარებელთა ჯგუფში თვითმკვლელობის ალბათობა საშუალოდ ორჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე არაინფიცირებული ჯგუფის ქალთა შორის. ტოქსოპლაზმოზი კი ადამიანის და ცხოველების გავრცელებული ერთგვარი პარაზიტული დაავადებაა.

### თვალისჩინდაკარგულები ხედვას შეძლებენ!

**ისრაელისა და საფრანგეთის მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მკვლევარების განცხადებით, თვალისჩინდაკარგულ პაციენტებს ობიექტების „დანახვა“... სმენის მეშვეობით შეუძლიათ.**

მედიკოსებმა მოწყობილობა გამოიყენეს, რომელიც ვიზუალურ ნიშნებს ხმოვანში გარდაქმნის. იგი მინიატიურული საკნისა და კომპიუტერთან ან სმარტფონთან შეერთებული საყურე მოსასმენებისაგან შედგება.

თანდაყოლილად თვალისჩინდაკარგულ პაციენტებს 70 საათის ვარჯიში დასჭირდათ, რათა ამ გარდამქმნელი ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი აეთვისებინათ. ამის შემდეგ მათ ტექსტურებისა და ობიექტების, მათ შორის, სახლებისა და სახეების დანახვა შეძლეს. ამის გარდა, მოხალისეებმა ისწავლეს სხვა ადამიანთა ადგილსამყოფლის დადგენა, მათი სახეების გამომეტყველების გარჩევა (!), ასევე ცალკეული ასოებისა და სიტყვებით წაკითხვა.

### უებარი... ხილი

**ჩინელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლო ხილია გარგარი.**

თურმე გარგარი აუმჯობესებს გულის მუშაობას, ამაგრებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს მხედველობას, ორგანიზმიდან ტოქსინები და ჭარბი წყალი გამოჰყავს. ამ უნიკალური, გემრიელი ხილისგან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად საჭიროა დღეში სამი მეოთხედი ჭიქა წვენის დალევა, ან 5-6 ახალი, ან 15-20 ცალი მისი ჩირის ჭამა.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### სააკაშვილი ივანიშვილის წინააღმდეგ სისხლიან პროვოკაციას გეგმავს?!

„ადამიანის უფლებათა დაცვის — საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა მონიტორინგის სიმონ ვიზენტალის სახელობის ქართული „ფონდის“ ხელმძღვანელი მირიან ყარაულაშვილი „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ ბოლო სატელევიზიო გამოსვლას აანალიზებს და არ გამორიცხავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე სააკაშვილმა და, საერთოდ, „ნაცმოძრაობამ“ მკვლელობების ორგანიზება მოაწყონ. აქედან გამომდინარე, ყარაულაშვილი ხელისუფლებას მოუწოდებს, ქვეყნის და, განსაკუთრებით, პრემიერის უსაფრთხოების ზომები გაამკაცროს. იგი ბიძინა ივანიშვილს ურჩევს, 27 სექტემბრამდე ქართული ავიაკომპანიების სამსახურებით არ ისარგებლოს. „უფრო მისაღებია, რომ პრემიერმა ისევ იმ თვითმფრინავით იფრინოს, რომლითაც აქამდე დაფრინავდა — როგორც ვიცი, თვითმფრინავს ერთ-ერთ გერმანულ კომპანიას უკვეთავდა ხოლმე“, — ამბობს ყარაულაშვილი.

**„ქართული სიტყვა“**

### ლატვიამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა?..

ლატვიის ქალაქ ვენტსპილსში მყოფმა „ჯი-ეიჩ-ენის“ ჟურნალისტმა აღმოაჩინა, რომ ქალაქის საბავშვო-გასართობი პარკის „ფანტაზიის“ შესასვლელში დადგმულ დიდ გლობუსზე საქართველო და აფხაზეთი ცალ-ცალკე ფერებად, ანუ სხვადასხვა ქვეყნად არის გამოტანილი. საქართველოს დედაქალაქად თბილისი, აფხაზეთისა კი — სოხუმია აღნიშნული. ჟურნალისტი შეეცადა პარკის ადმინისტრაციასთან გაერკვია აღნიშნულის შესახებ, თუმცა, მათ განაცხადეს, რომ ეს მათ კომპეტენციას სცილდება. ჟურნალისტი ლატვიაში საქართველოს საელჩოს დაუკავშირდა და მათ ამის შესახებ სააგენტოსგან გაიგეს. საელჩომ ვითარებაში გასარკვევად დრო ითხოვა.

**„ალია“**

### ქუთაისის მერიიდან გათავისუფლებული 20-მდე თანამშრომელი სასამართლოში ჩივის

ქუთაისის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული თანამშრომლები ამბობენ, რომ მათი გათავისუფლება პოლიტიკური მოტივით მოხდა და სასამართლოში ჩივილს აპირებენ. მათ ნაწილს ადვოკატირებას საიასა და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ იურისტები გაუწევენ.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად 89 ადამიანი გათავისუფლდა. ამ დროისთვის სასამართლოში ჩივილს 20-მდე გათავისუფლებული აპირებს. მათ შორის ყოფილი ვიცე-მერები — ამირან ძოწენიძე და კოტე რატიანი.

**„რეზონანსი“**

### „დავით ბაქრაძე ცდილობს, ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს გაემიჯნოს“

— ამბობს სამართალდამცავი სოფიო ხორგუანი, — მას კარგი პიარტექნოლოგი ჰყავს, ცდილობს, გაემიჯნოს ნაცმოძრაობის დანაშაულებრივ ქმედებებს, მაგრამ ის მაინც ნაცმოძრაობის წევრია და სავლე პავლედ ვერ იქცევა, პასუხისმგებლობა მას ისევ აქვს, თუმცა, დიახ, ნაცმოძრაობა დასრულდა იმით, რომ აღარ არის ხელისუფლებაში. ის, როგორც პარტია, ვერ გადარჩება, შეიძლება სახელი შეიცვალონ ან ახალი სახეები გამოაჩინონ.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **რით** განსხვავდება ამოცანა პრობლემისგან?

— ამოცანა არის ის, რომ, მაგალითად, ცდილობ, მოარტყა სამიზნეს, პრობლემა კი ისაა, როცა შენ გიმიზნებენ!

* * *

— **თუ** რაიმე პრობლემები იქნა, ხომ გაქვს ჩემი ნომერი?

— მაქვს!

— წაშალე...

* * *



**და** მორიგ ჯერზე შუქი გვირაბის ბოლოს გამოდგა იმ ოპტიმისტთა ხრწნადი ძვლების ფოსფორი, რომლებიც გასასვლელს ეძებდნენ.

* * *

**ცოლ-ქმარი** სიბნელეში თეატრში თავის ადგილს უბრუნდება. სავარძლებს შორის გავლისას ქმარი ეკითხება ერთ მაყურებელს:

— მაპატიეთ, ეს თქვენ დაგაბიჯეთ, არა, ფეხი, როდესაც აქედან გავდიოდით?

— დიახ, დიახ, მე! თანაც, ამის გარდა...

— წამოდი, — ეუბნება ქმარი ცოლს, — ეს ჩვენი რიგია!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24